პროლეტარეთო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 მარტი ხუთშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 65 (14975)

დამკვრელური ერთიანობა მრომის ფასტზე

ტყიბული — დონეცკი

გამოწვევა მიღებულია

შეჯიბრება გაჩაღდა

ტყიბული. (საკ. კორ.). მათს მეგობრობას სულ ახლახან, სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადების დღეებში ჩაეყარა საფუძველი. იანვრის პირველ დღეებში ტყიბულშახტმშენის სამმართველოს კოლექტივმა წერილი გაუგზავნა დონეცკის „შახტაპროხოდკას“ ლენინის ორდენოსანი ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივს. ქართველმა კოლეგებმა დონეცკელებს გააცნეს თავიანთი საწარმოო მიღწევები და სთხოვეს ჩაბმულიყვნენ ურთიერთ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ დღეებში ტყიბულმშენწარმართველოში მოვიდა წერილი და დონეცკის საოლქო გაზეთ „სოციალისტიჩესკი დონბასის“ 17 თებერვლის ნომერი. გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ტრესტ „დონეცკშახტაპროხოდკას“ № 3 სამშენებლო სამმართველოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის ს. გერჩიკოვის წერილი — „მშენებელთა ზღუდეები“.

გამოწვევა მიღებულია, სწერენ ტყიბულელებს დონეცკელები. სოციალისტური შეჯიბრება ორივე კოლექტივს დაეხმარება მოწინავე მეთოდების ეფექტურად გამოყენებაში, საწარმოო დავალებათა შესრულებაში. ქართველ შახტმშენებლებს უფრველად დაეინტერესებს დონეცკში შექმნილი მაღალი წარმადობის კომპლექსი — „დონეცკური შახტგამყვანი“ და სხვა ტექნიკური სიახლენი. დონეცკელი შახტმშენებლები კი თავის მხრივ მუშაობის ბევრ მოწინავე მეთოდს გაეცნობიან ტყიბულში.

ტყიბულელმა შახტმშენებლებმა იკისრეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულონ 27 მარტისათვის, წლიური დავალება კი 25 დეკემბრისათვის. დონეცკელები კვარტალის გეგმის შესრულებას აპირებენ ვადაზე 7 დღით ადრე, წლიური დავალებისას — 25 დეკემბრისათვის.

ტყიბულელებმა უკრაინელი ძმები საქართველოში მოიწვიეს. სტუმრებს აქ აპრილში მოელიან.

ვ. ციბეკიძე.

ახალი მანქანები

ბათუმი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკურ ქარხანაში ყოველი ახალი მანქანის დაბადება ზეიმით აღინიშნება, ასეთი ზეიმი კი ქარხანას თითქმის ყოველწლიურად აქვს.

ბოლო დროს ქარხანამ აიწყო ვაუმჯობესებული ელექტროფრიკა, რომელიც საათში 22 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს და მანევრირების უკეთესი მონაცემები აქვს.

ბათუმური ელექტროფრიკები საბჭოს დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გამოფენის მედლებით. ახლა ისინი მსოფლიოს სტანდარტების დონეს უტოლდებიან. ამიტომაც მათზე დიდი მოთხოვნილებაა.

ჩარხები საექსპორტოდ

თბილისის სახელი ჩარხების ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ახალი ხუთწლედის პირველი ორი თვის პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებები. მომხმარებელს გაეგზავნა 607 ათასი მანეთის სხვადასხვა ჩარხები. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3 უნივერსალური ზუსტი სახეხი ჩარხი.

სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკლები ვალდებულებით ქარხნის კოლექტივმა მარტში საექსპორტოდ უნდა გაგზავნოს ჩარხების პარტია. შეკვეთები ვადამდე სრულდება. ამ პროდუქციას მსოფლიოს ხუთი ქვეყნის შემკვეთები მიიღებენ.

ი. განდი — ინდოეთის პრემიერ-მინისტრი

დელი, 17 მარტი. (საკდესი). ინდირა განდი კვლავ არჩეულია ქვეყნის მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერად.

დღეს დელში გამართულ გაერთიანებულ სხდომაზე ცენტრალური პარლამენტის ზედა და ქვედა პალატების დეპუტატმა — კონგრესისტებმა ერთხმად აირჩიეს ინდირა განდი თავიანთ ლიდერად.

ამრიგად, კონსტიტუციის დებულებებისა და პარლამენტის პროცედურის შესაბამისად ინდირა განდი ავტომატურად ხდება ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ხუთი წლის ვადით და ენიჭება უფლება ჩამოაყალიბოს ქვეყნის ახალი მთავრობა.

ნდობა ინდირა განდისადმი მოწმობს მის მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის პოპულარობას.

უცხოეთის ამბები

გმობენ რეაქციას

სანტიაგო, 17 მარტი. (საკდესი). „მთელი ჩილელი ხალხი უნდა შეკავშირდეს, რათა მთელი სიმტკიცით გაიელაშქროს რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ“, — განაცხადა ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა ქალაქ კონსეფსიონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

კორვალანი შეეხო ჩილეს სოფლის მეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს აგრარული რეფორმის განხორციელება, რომლის მიზანია საბოლოოდ მოიგოს ბოლო ლატიფუნდიათა სისტემას.

დანაშაული გრძელდება

ჰანოი. 17 მარტი. (საკდესი). სამი წლის წინათ — 1968 წლის 16 მარტს სამხრეთ ვიეტნამის სონგმის თემში ამერიკის ჯარებმა ბარბაროსულად დახოცეს 502 მშვიდობიანი მცხოვრები, მეტწილად ქალები და ბავშვები.

სონგმის ტრაგედიამ მთელი მსოფლიო შეაძრწუნა. განვლილი სამი წლის მანძილზე სონგმის ტრაგედია ბევრჯერ განმეორდა სამხრეთ ვიეტნამის სხვადასხვა რაიონში. მსოფლიო საზოგადოებრიობამ შეიტყო სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის მასობრივი გაჟღენტის ათობით სხვა ფაქტები.

ეს აუცილებელი ფაქტები თავმოყრილია ვიეტნამში ამერიკის დანაშაულთა საგამოძიებო კომისიის დოკუმენტებში, რომლებიც ჰანოის პრესამ გამოაქვეყნა.

განცხადება მოწონებულია

კაირო. 17 მარტი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ მოიწონა პრეზიდენტ ა. სადათის განცხადება, რომ ახლა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას უკვე თავი ვალდებულად ალარ მიაჩნია შეასრულოს სუეცის არხის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის რაიმე შეთანხმება.

ოფიციალურ განცხადებაში ეროვნულმა კრებამ დაადასტურა პრეზიდენტ სადათის სიტყვები, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა არ დასთმობს არც ერთ მტკვილ ორბულ ტერიტორიას.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐᲨᲘ

სიცოცხლე გრძელდება

რეპორტაჟი ყიზლარის საქოვრებიდან

ნოლაემის ტრამალებში ამინდი ჭირვეულობს. მთელი ორი თვე ისე გავიდა, მზის ერთხელსაც არ გამოუჩენია. ტაციისფერი ღრუბლები დასცქერიან ქვეყანას. როცა ეს სტრიქონები იწერება, განუწყვეტლივ თოვს. კიდევ კარგი, გუშინ მოგასწარით ბირუზიაკზე მოსვლა და ომარ კედელაშვილთან საუბარი. მოგვეწონა მხრეგაშლილი ახალგაზრდა ვაჟკაცი შავი თმითა და ქერა ულვაშებით, მოღიმარი სანდომიანი სახით. ომარ კედელაშვილი ამას წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ეს ამბავი სწრაფად მოედო ქართველი მეცხვარეების ბინებს, რომლებიც პატარა კუნძულად გაფენილან ასეულ კილომეტრებზე. მწყემსებს ეამაყებათ ქართველი მეცხვარის ეს ოდენ დაფასება.

პარტიის დუმეთის რაიკომის მეორე მდივანმა ალეკსანდრე ახობადემ გულთბილად მიულოცა ომარს და უსურვა ახალი წარმატებები.

ომარმა გვითხრა, რომ გასული წლის შემოდგომაზე ასრულდა მისი ოცნება, როცა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხეს. წელს პირველად ესწრებოდა ზამთრის სესიებს.

და აი გავა რამდენიმე დღე, და ქართველი მწყემსი გაემგზავრება კომუნისტთა საკავშირო ფორუმზე. თავის სიცოცხლეში პირველად ნახავს მოსკოვს — ჩვენი დიდი სამშობლოს გულს, საიდანაც, პოეტის თქმისა არ იყოს, იწყება დედამიწა. ქართველი კომუნისტი კრემლში მიიტანს ხალხისა და მშობლიური მთების დიდ მადლობას.

ომარმა დაუმატა, შთამომავლობით მწყემსი ვარ. მამაჩემის ამბავი ხომ იცით, და დედთაც მწყემსის შთამომავალი ვარ. ბავშვობიდანვე ცხვრის ტრფიალი გახლავართ. რაც თავი მახსოვს, სულ მამასთან ვიყავი მთასა და ბარში. ბევრჯერ მამას მთების ბილიკებზე ეუტარებივარ, ბევრჯერ ცხენზე გადაკიდებული ხურჯინის ერთ თვალში მე ვყოფილვარ და მეორეში. ლუბი ცხვარი.

მერვე კლასის მოსწავლე საყიზლაროს გავყევი ცხვარს. გზაში ბაზრუკასთან დამე ყარაულად დამაყენეს. დაღლილი მწყემსები საძილად მიეყარნენ. მამა არც კი მენდობოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, გათენებისას ძალლებმა სამნეული ყეფა ატეხეს და რაღაცას გამოუდგნენ. მეც რაც შემეძლო დავიკივლე. მანქანის შუქზე დავინახე უცხო პირები, ნამდვილად ქურდები იყვნენ, რომლებიც ჩემს ყვირილზე სიმინდებში შეეფარნენ. მე თან უნდა შევყოლოდი, მაგრამ ივანე აფციაურმა დამიყვირა — არ გაბედო სიმინდებში შესვლაო. კიდევ კარგი, არ შევსულვარ, თორემ ბანდიტები კარგ დღეს არ დამაყრიდნენ.

ერთხელ მთაში ვიყავით მე და მამა. მამინ უკვე სანადირო თოფი მქონდა და არფერი არ მამინებდა. წვიმიანი ღამე იყო, მამამ მითხრა — შვილო, ნაბდები დასაძინებლად არ გვეყოფა, წადი, ბინაში დაიძინეო. ძალიან ბნელი ღამე დადგა, ნისლიანი. ფრთხილად ვაბიჯებდი მთების ბილიკებზე. უცბად მამაჩემის ყვირილი შემომესმა, ძალიან მაგარი ხმა ჰქონდა. ნადირს აფრთხობდა. სასწრაფოდ უკან დავბრუნდი, ფარა სამად იყო გაყოფილი. მგლები შეცვივნულიყვნენ, ერთი ცხვრისათვის ყელი გამოეღიღინა. ერთი-ორი გასროლა. ძაღლებიც წამოგვეშველნენ და როგორც იქნა ნადირი მოვიგერეთ.

მეცხვარეობა ათასნაირი სიფაფით სავსე საქმეა. გონჯსა და ავადმყოფს ცხვარში გაძღება არ შეუძლია. მე ბევრჯერ დაგვკვირვებივარ მამაჩემს ღამისა და ჭირში, უმეგობროდ და უამხანაგოდ ისე არ შეეძლო ყოფნა, როგორც უმრომლად. ამიტომაც უყვარდა იგი კოლმეურნეობაში ყველას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მამას საძმო საქმისათვის ეღალატოს. ცხვარი და საერთოდ პირუტყვი ხომ განსაკუთრებით უყვარდა. ბოლო დროს თავის ტკივილს უჩიოდა. ბევრჯერ ურჩიეს წასულიყო სამკურნალოდ, მაგრამ არა ჭნა, მე უცხვაროდ გაძღება არ შემძლია.

სახელგანთქმული მეცხვარის სიმონ კედელაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი ფარა უპატრონოდ არ დარჩენილა. ჯერ მას სიმონის მეგობარი ვალიკო ქავთარაძე გაუძღვა, ხოლო ორი წლის შემდეგ მაგრამ, ეს ბოლო ოცი წელიწადი ბევრ ტყიბულელებს დონეცკელები. სოციალისტური შეჯიბრება ორივე კოლექტივს დაეხმარება მოწინავე მეთოდების ეფექტურად გამოყენებაში, საწარმოო დავალებათა შესრულებაში. ქართველ შახტმშენებლებს უეჭველად დაეინტერესებს დონეცკში შექმნილი მაღალი წარმადობის კომპლექსი — „დონეცკური შახტგამყვანი“ და სხვა ტექნიკური სიახლენი. დონეცკელი შახტმშენებლები კი თავის მხრივ მუშაობის ბევრ მოწინავე მეთოდს გაეცნობიან ტყიბულში.

ტყიბულელმა შახტმშენებლებმა იკისრეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულონ 27 მარტისათვის, წლიური დავალება კი 25 დეკემბრისათვის. დონეცკელები კვარტალის გეგმის შესრულებას აპირებენ ვადაზე 7 დღით ადრე, წლიური დავალებისას — 25 დეკემბრისათვის.

ტყიბულელებმა უკრაინელი ძმები საქართველოში მოიწვიეს. სტუმრებს აქ აპრილში მოელიან.

ვ. ციბეკიძე.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔ ᲝᲛᲐᲠ ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ფოტო ვ. ქისტაურისა.

პარიზის კომუნის საქმე უკვდავია

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐᲨᲘ

ლეს საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავენ პარიზის კომუნის მეასე წლისთავს. კეთილი ნების ადამიანები ღრმა პატივისცემით წარმოთქვამენ იმ გმირი კომუნარების სადიდებელს, რომელთაც თავიანთი საქმეებით „იერიში მიიტანეს ზეცაზე“.

1871 წლის 18 მარტს პარიზელები გამოაღვიძა საბრძოლო ყიჟინამ: გაუმარჯოს კომუნას! პირველმა პროლეტარულმა რევოლუციამ ერთბაშად იფეთქა და მოიცვა მთელი ქალაქი. ამ რევოლუციის დროებითი მთავრობა გახდა ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი.

პოლიტიკური მოვლენების მძლავრმა ბიძგებმა შეანძრიეს მთელი ევროპა. ეს იყო სრულიად ახალი ოვსებრივი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში. ეს რევოლუცია მოახდინა კლასმა, რომელმაც შეიცნო თავისი თავი და რევოლუციაში იგი არაფერს არ კარგავდა, გარდა თავისი ბორკილებისა.

კომუნიზმისათვის, ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის სახელოვან ისტორიაში პარიზის კომუნას უკავია პირველი და სპეციალური ადგილი. იგი იყო საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაში პროლეტარიატის ისტორიული როლის შესახებ მარქსისტული მოძღვრების ჭეშმარიტების უტყუარი დადასტურება. კარლ მარქსის გენიამ თავიდანვე განჭვრიტა პარიზის კომუნის მნიშვნელობა, როცა აღნიშნა: „მუშათა პარიზი მისი კომუნითურთ ყოველთვის პატივცემული იქნება როგორც ახალი საზოგადოების სახელოვანი წინამორბედი“.

დიახ, ეს იყო პროლეტარული რევოლუციის დიდი პრელუდია. მან მხოლოდ 72 დღე იარსება. მაგრამ ვინ იფიქრებდა მაშინ, როცა პარიზის მთაწმინდას — პერ-ლაშეზს, საკუთარ შვილთა სისხლი ხდიოდა, გაივლიდა კიდევ ნახევარი საუკუნე და რუსეთში „ავროორა“ პარიზის კომუნართა საქმის გამარჯვებას მსოფლიოს აუწყებდა. დროშა, რომელიც 1871 წლის 28 მაისს დღის 2 საათზე ძირს დაიხარა, კვლავ ამაყად აღიმართა 1917 წლის ოქტომბერში და იგი დღეს თავისუფლად ფრიალებს სოციალისტურ ქვეყნებშიც როგორც კომუნის იდეების უკვდავების, ძლევამოსილების სიმბოლო.

მუშათა კლასის ორგანიზებული ბრძოლის გიგანტურმა წარმატებებმა პარიზის კომუნის შემდეგ განვლილ ას წელიწადში გამოიწვია მთელი საერთაშორისო ცხოვრების პირობების ძირეული შეცვლა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ძირითადი მონაპოვარია, მარქსიზმ-ლენინიზმის ხორცშესხმული იდეების უდიდესი ტრიუმფია.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მიმზიდველი ძალა ის არის, რომ იგი გამოხატავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს. კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთი პრაქტიკული და თეორიული საქმიანობით შემოქმედებითად ამდიდრებენ მარქსიზმ-ლენინიზმს ახალი მონაცემების საფუძველზე.

ვ. ი. ლენინი პარიზის კომუნას უწოდებდა „საბჭოთა ხელისუფლების ჩანასახს“. და დღეს ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება — პარიზის კომუნის ეს ღირსეული შემკვიდრე თავიანი განვითარების უმაღლეს დონეზეა ასული. მისი ხალხი ამაყობს მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების უბადლო მონაპოვრებით. დიდი ხანია, რაც საბჭოთა ადამიანებმა სოციალიზმის გამარჯვებით, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის განხორციელებით ხელთუქმნელი ძეგლი აუგეს პარიზის კომუნარებს.

პარიზის კომუნის 100 წლისთავს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს დიდებულ დღეებში, როცა იგი ემზადება კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისათვის, რომელიც დასახავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალ კონტურებს. ყველა საბჭოთა ადამიანი მხურვალედ იწონებს ლენინის პარტიის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მათი მშობლიური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისაკენ. და ეს ჩანს ყველგან და ყველაფერში. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვა გადაიქცა პარტიისა და ხალხის ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად.

საბჭოთა საქართველო, რომელიც დღეს თავისი ნახევარსაუკუნოვანი იუბილეთათვის ემზადება, რევოლუციური წარსულით ბეგრად იყო დაკავშირებული პარიზის კომუნასთან. მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა სულგანაბული უგდებდა ყურს საფრანგეთის ვაჟკაცური გულის ცემას. იგი დიდი იმედის სტაფეტით ამბობდა: „მესმის, მესმის...“ და იმას ნატრობდა, რომ „ეს ხმა ტკბილი“ გაეგონა თავის მამულში.

გავიდა დრო და ქართველმა რევოლუციონერებმა 1921 წლის 25 თებერვალს თავიანთ ქვეყანაში მტკიცედ აღმართეს თავისუფლების დროშა. დღეს საქართველოს მშრომელები სათუთად ინახავენ პარიზის კომუნართა ხსოვნას. სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში იმართება საუბრები, მოხსენებები კომუნართა საგმირო საქმეებზე.

საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა პარიზის კომუნის შესანიშნავი მემკვიდრეა. დღეს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი გმირულ ბრძოლას აწარმოებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

პარიზის კომუნა თავისი შინაარსით უაღრესად ინტერნაციონალური მოვლენა იყო. კომუნის ამ ინტერნაციონალურ იდეებს, ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო ძმობის იდეებს, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, ხორცი შეასხა დიდმა ლენინმა და მის მიერ შექმნილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, თანამედროვე საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ. ახლა, პარიზის კომუნის 100 წლისთავზე, კომუნისტები არიან არამცირერიცხოვანი ჯგუფი, არამედ მებრძოლთა უდიდესი არმია, რომელიც თავის რიგებში ათეულ მილიონობით ადამიანს აერთიანებს დედამიწის ყველა კუთხეში.

პარიზის კომუნართა და ოქტომბრის რევოლუციის მებრძოლთა გამოცდილება ორგანულად შედის და ამდიდრებს დღეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიასა და ტაქტიკას. მისი დროშაა მარქსიზმ-ლენინიზმი. ბურჟუაზიის ამოლოგეტები ამაოდ ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ მის ელვარებას. ანტაკომუნიზმის საფარით იმპერიალისტური რეაქცია სდევნის ყოველივე მოწინავეს და რევოლუციურს, ცდილობს გათიშვა შეიტანოს მშრომელთა რიგებში, მოადუნოს მუშათა კლასის ბრძოლის ნებისყოფა. იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბრძოლის იდეოლოგიური მახვილი უწინარეს ყოვლისა მიმართულია მუშათა კლასისა და მისი მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ.

და, მიუხედავად ამისა, კომუნისტური მოძრაობა იზრდება და იწრთობა შეურიგებელ ბრძოლაში ოპორტუნისტული თეორიის, რეფორმიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ. პარიზის კომუნის შემდეგ კომუნისტებმა ათასგზის დაამტკიცეს თავიანთი უნარი არა მარტო დაიცვან და პროპაგანდა გაუწიონ, არამედ პრაქტიკულადაც განახორციელონ პარიზის კომუნის დიადი იდეალები. მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნისტების უძლეველი დროშაა მსოფლიოს რევოლუციური განახლებისათვის ბრძოლაში.

პარიზის კომუნის საქმე უკვდავია!

უკრაინის კომპარტიის XXIV ყრილობა

კიევი, 17 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა უკრაინის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგშია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; უკრაინის კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი; უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ე. შელესტმა.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გამოფენა მოსკოვში

...ᲐᲘ დროშა, რომელიც ასი წლის წინათ აჯანყებული პარიზის ერთერთ ბარიკადზე ფრიალებდა. ბევრგან მას დროის ხელი ეტყობა, მაგრამ თავისი ხასხასა ფაფილი ფერი ქსოვილს არ დაუკარგავს. თითქოს წვეთწვეთობით შეეწოვიაო კომუნართა წმიდათა წმიდა სისხლი.

ეს ძვირფასი რელიკვია ფრანგმა კომუნისტებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტებს გადასცეს 1924 წლის 6 ივლისს, გადასცეს იმათ, ვინც დიდი ლენინის ხელმძღვანელობით განახორციელა პარიზელ კომუნართა იდეები.

დროშის გვერდით, მთელ კედელზე, გაკრულია ძველი გრავიურის ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია საფრანგეთის დედაქალაქის რატუშის წინ მდებარე მოედანზე კომუნის გამოცხადების მომენტი. ვიტრინებში და სტენდებზე ვეცნობით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დოკუმენტებსა და შრომებს, რომლებშიც მოცემულია კომუნის ისტორიული გამოცდილების შეფასება.

ყველაფერი ეს წარმოდგენილია მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში. 13 მარტს გახსნილ გამოფენაზე „ლენინი პარიზის კომუნის შესახებ“. გამოფენაზე ნახავთ ლენინის ისეთი შრომების ცალკეული ფურცლების ხელნაწერთა ფოტოპირებს, როგორიცაა „მოხსენების სამი კონსპექტი პარიზის კომუნის შესახებ“, რომელიც მან 1904 წლის მარტში წაიკითხა ჟენევაში, „კომუნის შესახებ საუბრის გეგმა“, „ენციკლოპედიური შრომა „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელშიც დაწვრილებითაა გაანალიზებული კომუნის გამოცდილება. აქვეა ბელადის ცნობილი სტატიები „კომუნის გაკვეთილები“, „კომუნის ხსოვნა“ და სხვ.

ლენინს ღრმად სწამდა, რომ, 1871 წლის პარიზის კომუნის დამარცხების, 1905 წლის მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების მიუხედავად, პროლეტარიატის საქმე საბოლოოდ გაიმარჯვებს. კედელზე წარწერილია ავრეთვე ილიჩის წინასწარმეტყველური სიტყვები სტატიიდან „კომუნის გაკვეთილები“:

„რა ვუყოთ, რომ მუშათა კლასის ეს ორივე გრანდიოზული აჯანყება დამარცხდა — მოხდება ახალი აჯანყება, რომლის წინაშე უძლურნი იქნებიან პროლეტარიატის მტრების ძალები და რომლიდანაც სრულიად გამარჯვებული გამოვა სოციალისტური პროლეტარიატი“.

პარიზის კომუნის იდეების, დიდი ოქტომბრის იდეების გავლენა მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე — ასეთია გამოფენის უკანასკნელი სტენდის ექსპოზიციის თემა. აქ ნაჩვენებია, თუ როგორ გაიზარდნენ რიცხობრივად კომუნისტური და მუშათა მარქსისტულ-ლენინური პარტიები, როგორ გაძლიერდა საგაფიცო ბრძოლა კაპიტალის ქვეყნებში. წარმოდგენილია 1969 წელს მოსკოვში გამართული კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსკოვში გამართული საზეიმო სხდომის მასალები და სხვ.

გამოფენა დამაჯერებლად გვიჩვენებს პლანეტაზე კომუნიზმის იდეების ძლევამოსილ მსვლელობას, ადასტურებს ლენინის სიტყვებს: „...კომუნის საქმე არ მომკვდარა; იგი დღემდე ცოცხლობს თვითეული ჩვენგანის გულში“. (საკდესის კორ.)

საბჭოთა აჭარა 50 წლისაა

ა. თხილაიშვილი,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

წლის შესრულდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი. აჭარაში, საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს მხარეში, საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა 1921 წლის 18 მარტს. მუშათა და გლეხთა რაზმებმა წითელი არმიის ნაწილების მხარდამხარ აჭარიდან განდევნეს უცხოელი ოკუპანტები, ხოლო მენშევიკური მთავრობა, რომელმაც ბათუმი თავის უკანასკნელ თავშესაფრად გამოაცხადა, ღამით საზღვარგარეთ გაიპარა გემით.

თანამედროვე, განახლებული აჭარის მიღწევებზე რომ ვილაპარაკოთ, მოკლედ მაინც უნდა მოვიგონოთ მისი წარსული. მეტად მძიმე იყო აჭარის ისტორიული ხვედრი, იშვიათად თუ მოიძებნება მეორე ისეთი მხარე, რომელსაც ისტორიულად იმდენი დარბევა, აკლება და ტანჯვა, შეურაცხყოფა და დამცირება, ხალტაკე და შიმშილი განეცადოს. საუკუნეების განმავლობაში დე- და-სამშობლოსაგან მოწყვეტილ, უცხოელ კოლონიზატორთა ბატონობის უღელქვეშ მოქცეულ აჭარელებს მრავალჯერ დაემუქრა ფიზიკური მოსპობის საფრთხე, ქართველებმა უცხოელ კოლონიზატორთა ბატონობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაუპირისპირეს, მაგრამ ეს ბრძოლები უთანასწორო იყო და მარცხით მთავრდებოდა.

ცნობილი ბერლინის ტრაქტატის ძალით 1878 წლის აგვისტოში აჭარა რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა და იგი კვლავ დედა-სამშობლოს — საქართველოს შეუერთდა. ამით ასრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ნანატრი ოცნება, ქართველი საზოგადო მოღვაწეების თაოსნობით აჭარაში გაიხსნა რამდენიმე ქართული სკოლა. ახლად შემოერთებული მოსახლეობის დასახმარებლად შეიქმნა ფონდები. აჭარელები ეროვნული განთავისუფლებიერებისა და ეკონომიური აღორძინების გზას დაადგნენ. ეს პროგრესული ნაბიჯი იყო. მაგრამ აჭარის ნამდვილი ისტორია იწყება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან. აჭარელმა მშრომელმა პირველად თავისუფლად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ამოისუნთქა. სოციალისტურმა წყობილებამ დასაბამი მისცა განახლებულ აჭარას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ისტორიის ამ მოკლე მონაკვეთში, მის სახალხო მეურნეობასა და კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი გარდაქმნები მოხდა.

რევოლუციამდელ აჭარაში თითქმის არ იყო მრეწველობა: იმდროინდელი საწარმოები კუსტარულ სახელოსნოებს წარმოადგენდა. ახლა ექსპლოატაციაშია ათასობით ფაბრიკა-ქარხანა, მათ შორის ისეთი მძლავრი საწარმოები, როგორიც არის ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათასამშენებელო, კოფეინის, გემთსაშენი, ელექტროხელსაწყოთა, ხარცხი მანქანების, ელექტრომექანიკური, ტყავის ქარხნები, ავეჯის, ჩაის, თამბაქოს, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ფეიხსაცმლის ფაბრიკები, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოები.

პროდუქციის საკმაოდ დიდი ასორტიმენტი, რომელსაც ჩვენი საწარმოები უშვებენ, კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. რაც შეეხება მიღწევებს ამ დარგში, საკმარისია ვთქვათ, რომ მარტო შარშან აჭარის მრეწველობის მუშაკებმა ვადაზე ადრე — 11 ნოემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა და გეგმის ზევით მოახდინეს 40 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქციის რეალიზაცია. 1965 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა 42 პროცენტით, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მოგების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების დავალებები, ამასთან გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

ფრთებს შლის საქართველოს სსრ საზღვაო სანაოსნო, რომლის ცენტრი ქალაქ ბათუმია. ახლა საქართველოს სახელმწიფო ალმით მოსფლოს ზღვებსა და ოკეანეებს სერავს 36 ტანკერი და ტრაულერი.

სოციალისტურმა გარდაქმნებმა სახე უცვალა სოფელს. რევოლუციამდელი აჭარის გლეხური მეურნეობა პრიმიტიული წარმოების დონეზე იდგა. გლეხობის ძირითადი მასა მიჯაჭვული იყო მიწაზე, რომელიც მემამულე-მეგებს ეკუთვნოდა. გლეხობას სულს უხუთავდა უმიწობა. საკუთარ მეურნეობაში მას ხარჩო ვერ მოუყავდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩაისა და ციტრუსებს სულ ხუთას ჰექტარამდე ფართობი ეჭირა. ამჟამად ამ კულტურას უკვიავს 14.500 ჰექტარი, სუბტროპიკული კულტურები სოფლის შრომელთა ნამდვილი შეძლებული, კულტურული ცხოვრების წყაროდ იქცა.

მოსავლიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების კვალობაზე ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. შრომის გარანტირებულმა ანაზღაურებამ ხელი შეუწყო მატერიალური დაინტერესების პრინციპების განხორციელებას, აამაღლა შრომის დისციპლინა.

მერვე ხუთწლედი სოფლის მეურნეობის დარგში მომოვებული თვალსაჩინო წარმატებანი დამაჯერებლად გვიჩვენებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა დროულობასა და მიზანშეწონილობას. ამ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით აჭარის კომუნისტებმა და მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სახოფლოსამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებათა შესრულებაში. აჭარის მეჩაიეებმა გასულ ხუთწლედში მოკრეფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 181.525 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 16.166 ტონით აღემატება ხუთწლედის გეგმას. ჩვენმა მეციტრუსეებმა შარშან სახელმწიფოს მიჰყიდეს 81 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი — გეგმაზე სამჯერ მეტი.

ჩვენმა მშრომელებმა თავი ისახელეს დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში. ისინი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ჩაებნენ სიცოცხლისა და სიკვდილის ბრძოლაში. ჩვენი რესპუბლიკიდან ფრონტზე წავიდა 23 ათასამდე კაცი. ბევრმა მათგანმა ვაჟკაცობის უბადლო მაგალითი გვიჩვენა. ასევე მამაცურად შრომობდნენ ზურგში დარჩენილნი, რომლებმაც თავდადებული შრომით გარკვეული წვლილი შეიტანეს მტრის განადგურებაში.

ომისშემდგომ წლებში ახალი ძალით განადდა მუშაობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის. სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში ძირეული ცვლილებები მოხდა, სახე იცვალეს რესპუბლიკის ქალაქებმა, დაბებმა და სოფლებმა. მათ ამშენებენ ახალი მაგისტრალები, მწვანე საფარით შემკული ქუჩები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ლამაზი ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლების მასივები, თანდათან ქრება სოფლისა და ქალაქს შორის განსხვავება, იზრდება ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა, მოისპო მრავალი ინფექციური დაავადება.

შავი ზღვის სანაპიროზე გაშენდა პირველხარისხოვანი კურორტები.

დიდი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში. სწავლა-განათლება და კულტურა მისაწვდომი გახდა ყველა ადამიანისათვის, წლითიწლობით ფართოვდება სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი.

1921 წლისათვის აჭარის მოსახლეობის 7 პროცენტზე ნაკლებმა იცოდა წერა-კითხვა, მაშინ აჭარაში იყო 38 სკოლა 2.520 მოსწავლით. სოფლად არც ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არ არსებობდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა, ახლა აჭარაში 436 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, რომლებშიც 68.900 მავნე სწავლობს. აჭარაში არის 7 საშუალო სპეციალური სასწავლებელი: მუსიკალური, საზღვაოსნო, სამედიცინო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და ორი სასოფლო-სამეურნეო.

კვალიფიციურ კადრებს ამზადებს ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ბათუმში არსებობს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს დასწრებული განყოფილება.

დიდი მიღწევებია ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებმა უკანასკნელ წლებში ბევრი კარგი ნაწარმოები შექმნეს. ისინი ფართოდ და ღრმად ასახავენ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ დიდსანიშნაოვან მოვლენებს, იმ ცვლილებებს, რაც საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროში მოხდა. ნაყოფიერად მუშაობენ აჭარის მხატვრები, რომლებმაც შექმნეს ბევრი კარგი მხატვრული ტილო და სკულპტურული ნაწარმოები.

საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია მშრომელთა უფასო სამედიცინო მომსახურება და სოციალური უზრუნველყოფა. განვლილ წლებში დადგა გაფართოვდა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებათა ქსელი. აჭარის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 3.000 ექიმი და ექიმის თანაშემწე.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრებამ წარმოშვა და განამტკიცა ხალხთა მეგობრობა, დაჩქარა მორალსა და ყოფაცხოვრებაში საერთო კომუნისტური ტენდენციების ჩამოყალიბება, დღეს ჩვენი რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში ერთმანეთის მხარდამხარ, მეგობრულად შრომობენ ორმოცამდე ეროვნების წარმომადგენლები.

ნაციონალიზმი და კომუნიზმის მშრომელთათვის ბრძოლაში მეგზურად მოევლინა პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ხელმძღვანელმა, მუშამ, კოლმეურნემ და ინტელიგენციის წარმომადგენელმა ისახელა თავი. აჭარაში ბევრია რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანი, რომელთა ხელოვან ტრადიციებზე აღზარდნენ და იზრდებიან კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელნი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს აჭარის მშრომელთა მიერ გაწეული შრომა. სახალხო მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

აჭარის მშრომელები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, როგორც ყოველთვის, მომავალში უფრო თავდადებით იშრომებენ, რათა კიდევ უფრო დიდი მიღწევებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას.

ჩვენი მშრომელები აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 50 წლისთავს აღნიშნავენ მტკიცე გადაწყვეტილებით — კვლავაც თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყველა გადაწყვეტილების შესასრულებლად.

• • •

სურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი ბათუმში.

ფოტო ნ. ანასტასიევისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).

გაზქურა და მომხმარებელი

გაიზარდა 1,8-ჯერ. გასულ ხუთწლედში ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოწინავე მუშებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება ახალი ტიპის გაზქურის ათვისების საქმეში. უკვე სერიულად მზადდება ახალი გაზქურა. ამჟამად ჩვენი სპეციალისტები და საწარმოო ესთეტიკის ინსტიტუტის ინჟინრების ჯგუფი, რომელსაც ბ. მელქაძე ხელმძღვანელობს, აქტიურად მუშაობენ თბილისური გაზქურის საექსპლოატაციო და ესთეტიკური ღირსების ამაღლებაზე. ჩვენი და ინსტიტუტის კოლექტიური შრომა მომდინარე ხუთწლედში საშუალებას მოგვცემს თბილისური გაზქურის მარკა მსოფლიო სტანდარტებს მაუტოლდეს.

ქარხანაში ყველაზე გიწრო ადგილს წარმოადგენდა გაზქურების მომნინარება. საამქროში სამუშაოების 70 პროცენტი ხელით სრულდებოდა, თანაც ღუმელებთან ცხელოდა, დაბალი იყო ნაწარმის ხარისხი. უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემაც ინსტიტუტის დახმარებით დადებითად გადაწყდა. **გასულ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მექანიზებული კონვეიერები, რომლებზეც ერთდროულად ხდება მონტაჟიანი დეტალების გაშრობა, გამოწვა და გაცივება.** ეს მხოლოდ ერთი ფაქტია. ასეთი რეზერვები კი საწარმოში ბევრია, ამიტომ ჩვენი ძირითადი ამოცანაა კვლავაც გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ ისინი.

ამჟამად ქარხნის ტექნიკური განყოფილება, მთავარი მექანიკოსის სამსახური, საიარაღო საამქროს კოლექტივი მეტად სერიოზულ პრობლემებზე მუშაობენ. ამწყობ საამქროში უნდა დაიდგას ახალი კონვეიერი, ხოლო საწნეხ საამქროში დაინერგოს დეტალების ტრანსპორტირების მექანიზაცია. მარტო ეს ორი ღონისძიება, რომლებიც წელს უნდა დაინერგოს, დიდძალ მუშახელს გამოათავისუფლებს და საგრძნობ ეკონომიას მოგვცემს.

საქართველო ახალ ხუთწლედში

განვითარების პროექტს

ბოსახლეობამ გეგმის ზევით გაეგზავნა 12.220 გაზქურა. პროდუქციის გამოშვება ეარის ერთი ფრიად სერიოზული საკითხი, იგი ეხება არა მარტო ჩვენს საწარმოს, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ქარხანასაც, რომლებიც ლითონის მინანქრით დაფარვას ეწევიან. **ჩვენში, როგორც წესი, ლითონი ჯერ გრუნტიანი მინანქრით იფარება, შრება და მერე ღუმელებში 850 გრადუსზე დნება; მხოლოდ შემდეგ იფარება სათანადო ფერის მინანქრით. არიან ფირმები, სადაც გრუნტით დაფარვას არ აწარმოებენ. იქ ლითონის ზედაპირი მომზადების შემდეგ მხოლოდ ერთხელ იფარება მინანქრით. ეს კი ორჯერ ამცირებს ხარჯებს და საგრძნობლად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. ჩვენი აზრით, საჭიროა ამ საქმით დაინტერესდეს სამშენებლო მასალათა საკავშირო ინსტიტუტი, რომელსაც მყავს სათანადო კადრები და აქვს ამის შესაძლებლობანი.**

ვვინდა ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ საკითხზე. **ჩვენი გაზქურების ზესადგარი მავთულისაგან მზადდება და უზარმაზარია. კარგი იქნებოდა, რომ იგი თუჯისაგან დაგვემზადებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა ჯერჯერობით არა მარტო ჩვენ, არამედ სხვა მონათესავე ქარხნებსაც არა აქვთ. ამიტომ გვინდა თხოვნით მივმართოთ იმ საწარმოებს, რომლებსაც ლითონის საჩამოსასხმელო მეურნეობა აქვთ, რომ ამ დეტალის დამზადებაში დახმარება დროებით მაინც გაგვიწიონ და თავიანთი წვლილი შეტანონ ქართული გაზქურების ხარისხის ამაღლების საქმეში.**

გაზქურების წარმოება მეშვიდე ხუთწლედში დაიწყო. მაშინ წელიწადში დაახლოებით 15 ათას ერთეულს ვაშენებდით. მერვე ხუთწლედის ბოლოს ამ ციფრმა 72 ათასს მიაღწია. **მეცხრე ხუთწლედის ბოლოს კი დაგეგმილი გვაქვს გაზქურების გამოშვება 170 ათას ერთეულამდე გავადიდოთ და უზრუნველვყოთ საქართველოს და მეზობელი რესპუბლიკების მოსახლეობა გაზის აპარატებით.** რა გაკეთდება კონკრეტულად ამ მიზნის მისაღწევად? უნდა მოხდეს არსებული ქარხნის რეკონსტრუქცია და მისი სპეციალიზაცია. წელს უკვე დაიწყო არსებული ტერიტორიის რეკონსტრუქცია. დაინერგა სხვადასხვა ფსისტემო შენობები. მათ მაგივრად აიგება ახალი კორპუსი, მექანიზებული ტექნოლოგიური ხაზები და საყოფაცხოვრებო შენობები.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „საგრძნობლად გავზარდოთ მოსახლეობისათვის ჭურჭლის მიყიდვა. დირექტივების ეს ადგილი ნაწილობრივ ჩვენც გვეხება, რადგანაც ძირითად პროდუქციასთან ერთად 750 ტონა მინანქრიანი ჭურჭელი უნდა გამოვუშვათ. სათანადო სიმძლავრეების უქონლობის გამო ამ დავალებას ქარხნის კოლექტივი სისტემატურად ვერ ასრულებდა. ბევრი რამ გავაკეთეთ და წელს უკვე გეგმა სრულდება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სამართლიანი და ბუნებრივია ჩვენი მოსახლეობის საყოველთაო, რომ ეშვიათად ხედავენ მაღაზიებში ჩაიდნებს, ქვაბებს და სხვა მომინანქრებულ ჭურჭელს.

დასახულია ღონისძიებანი ამ საკითხის გადასაჭრელად. სოფელ ძეგვში გამოიყო ნაკვეთი, სადაც უნდა აშენდეს ქარხნის ფილიალი. პროექტით გათვალისწინებულია შეიქმნას საწარმოო სიმძლავრე, რომელიც წლიურად გამოუშვებს ათას ხუთას ტონა მომინანქრებულ ჭურჭელს და დაკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას სხვადასხვა დეტალებზე, თუ ჩვენ საჭირო დოკუმენტაციას მომდინარე წლის III კვარტალში მაინც მივიღებთ, შეიკვეთება მაშინვე პრაქტიკულად შევუდგეთ საქმეს.

ქარხნის კოლექტივმა ახალი ხუთწლედის პირველი წელი კარგად დაიწყო, გადაჭარბებით შეასრულა ორი თვის გეგმა. ყველა მუშაკი დიდი აღფრთოვანებით შეხვედა და მზარი დაუჭირა ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტს, რომლის განხორციელებაც დაეჩქარებს კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომ წინსვლას.

შ. ჯაფარიძე.
თბილისის ქარხანა „გაზაპარატის“ დირექტორი.

საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნიზმის ბრძოლა

17 მარტი. (საკდესი). შესრულდა სსრ კავშირისა და თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების დადების 50 წელი.

ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი მეზობელი სახელმწიფოსათვის და, განსაკუთრებით, თურქეთისათვის, რომელიც იმ დროს ეროვნულ - განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდა უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ.

მეჯლისში გამოსვლისას თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელმა ქემალ ათათურქმა თქვა: „ამ ხელშეკრულებით ორ სახელმწიფოს შორის დაამყარდა სოლიდარობა, რომელიც წარმოშვა ბუნებრივმა კავშირმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება დღესაც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ორი ქვეყნის ურთიერთობაში, ხელს უწყობს სხვადასხვაგვარი კავშირურთიერთობის განვითარებასა და გაფართოებას.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით თურქეთში შენდება მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები: აღუმინის კომბინატი სეიდიშეჰირში, ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა იზმირის მახლობლად, მეტალურგიული კომბინატი ალიაგაში, ტრაქტორების ქარხანა ადანაში, ბამბეულის ნედლეულის გადამამუშავებელი

100 პარიზის კომუნა

ბარიკადებზე.

(ნახატი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმის ფონდიდან).

თანამედროვე მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს დიდი ისტორიული ეპოპეის — პარიზის კომუნის ასი წლისთავს. კაცობრიობის მატიანე მიერ მოვლენები, რომლებიც, მუხედავად მათი ლოკალური ფარგლებისა, იძენენ მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას.

პარიზის კომუნის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ იგი წარმოადგენდა სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების პირველ ცდას. 100 წლის წინათ 1871 წლის მარტში, პირველად ისტორიაში პარიზის მშრომელებმა სცადეს რევოლუციის გზით დაენგრიათ ბურჟუაზიული საზოგადოება. კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი პარიზის კომუნას ახასიათებენ როგორც პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირველ ისტორიულ ცდას. ვ. ი. ლენინს ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლება პარიზის კომუნარების მიერ წამოწყებული საქმის განვითარებად და ლოგიკურ დამთავრებად მიაჩნდა.

„ყველა შეცდომის მიუხედავად, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კომუნა უდიდესი ნიშანია XIX საუკუნის უდიდესი პროლეტარული მოძრაობისა... რა დიდიც უნდა იყოს კომუნის მსხვრაკლი, იგი ნაზღაურდება იმ მნიშვნელობით, რომელიც კომუნას აქვს საერთო-პროლეტარული გრძოლისათვის“.

პირველი პროლეტარული რევოლუცია — პარიზის კომუნა საერთაშორისო მნიშვნელობის ღრმა ინტერნაციონალური მოვლენა იყო. მან ფართო გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ხელი შეუწყო საერთაშორისო მუშათა კლასის კლასობრივი შეგნების ზრდასა და რევოლუციური სულისკვეთების განმტკიცებას.

ინტერნაციონალიზმი პარიზის კომუნის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. ამიტომ იყო, რომ მსოფლიოს მშრომელები და დემოკრატიული საზოგადოებრიობა უდიდესი აღტაცებით შეეგებნენ მას და იგი ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს. საერთაშორისო რეაქციამ და კონტრრევოლუციურმა ძალებმა პარიზის კომუნის სახით დაინახეს საკუთარი კლასობრივი ბატონობისათვის შექმნილი სასიკვდილო საფრთხე, საშიში კლასობრივი მტერი. ამიტომ იყო, რომ ვერსალელები კომუნარების წინააღმდეგ ბრძოლაში ამ რეაქციული ძალებისა და საერთოდ ბურჟუაზიული სამყაროს ყოველმხრივი დახმარებით სარგებლობდნენ. განსაკუთრებით გერმანელი ინტერვენტები აქტიურობდნენ. კ. მარქსი გარკვევით მიუთითებდა, რომ პარიზის კომუნა ჩახშობილ იქნა პრუსიელების მიერ, რომლებიც ტიერის „ანდარმის როლს ასრულებდნენო. ცნობილია, რომ პარიზის კომუნის მოსპობის გეგმა ბისმარკის, ტიერის და ფავრის ერთობლივი საქმიანობის ნაყოფს წარმოადგენდა. „გერმანიამ დაამარცხა საფრანგეთი, ხოლო ბისმარკმა და ტიერმა დაამარცხეს მუშები!!“ — წერდა ვ. ი. ლენინი.

1870 წლის 2 სექტემბერს პრუსია-გერმანიის ჯარებმა სედანთან სასტიკად დაამარცხეს საფრანგეთის ჯარები. იმპერატორი ნაპოლეონ III ტყვედ ჩავარდა. 4 სექტემბერს პარიზში პოლიტიკური გადატრიალება მოხდა... ძალაუფლება ხელთ იგდეს ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა. შეექმნა დროებითი მთავრობა გენერალ ტროშიუს მეთაურობით. დროებითმა მთავრობამ თავის თავს ეროვნული თავდაცვის მთავრობა უწოდა, მაგრამ სინამდვილეში იგი ეროვნული ღალატის მთავრობა იყო. საერთო კრიზისის პირობებში მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობა დაიწყო. ამით შეშინებულმა საფრანგეთის ბურჟუაზიამ უმჯობესად მიიჩნია საერთო ენა გამოენახა ბისმარკთან, დაედო მასთან სამარცხვინო ზავი და მთელი ძალა საკუთარი პროლეტარიატის წინააღმდეგ მიემართა.

ბისმარკთან თანამშრომლობისა და საკუთარი რევოლუციური პროლეტარიატის განადგურების პოლიტიკას განსაკუთრებული თანმიმდევრობით ახორციელებდა ადოლფ ტიერის ახალი მთავრობა, რომელიც 1871 წლის თებერვალში იქნა არჩეული. აშკარა იყო, რომ იგი საფრანგეთის მუშათა კლასს პროვოკაციას უმზადებდა. პროლეტარიატის მიერ იარაღის ხელში აღების შემთხვევაში ტიერს გადაწყვეტილი ჰქონდა მისი ფიზიკური განადგურება.

და როცა 18 მარტის რევოლუცია ფაქტი გახდა, კ. მარქსი, კატასტროფის მომასწავებელი უეჭველი ნიშნების მიუხედავად, უდიდესი აღტაცებით მიესალმა პირველ პროლეტარულ რევოლუციას და ქება-დიდება შეასხა მის გმირ მებრძოლებს. კ. მარქსი 18 მარტის სახალხო რევოლუციას, მისი წარუმატებელი პერსპექტივების მიუხედავად, სთვლიდა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ყველაზე დიდ აქტად და სიკეთეს ადიარებდა მას პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობის ყველაზე უფრო ბრწყინვალე შედეგად.

ერ კიდევ საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მთელ საფრანგეთში, განსაკუთრებით კი პარიზში თავდაცვის მიზნით განხორციელდა ეროვნული გვარდიის შეიარაღება. ბურჟუაზიის შენაერთებთან ერთად ჩამოყალიბდა პროლეტარული შენაერთებიც. ნაცვლად იმისა, რომ პროლეტარული და საერთოდ დემოკრატიული ძალები გამოეყენებინათ როგორც თავდაცვის მნიშვნელოვანი ძალა, ტიერმა და მისმა კამპანიამ მათი განიარაღება გადაწყვიტეს. გადაწყვეტილებას პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა. ტიერი იმედოვნებდა, რომ პროლეტარიატი ამ გადაწყვეტილებას წინააღმდეგობას გაუწევდა. რაც მას საშუალებას მისცემდა სისრულეში მოეყვანა თავისი მუხანათური გეგმა.

ფრანგი ხალხი, უპირველეს ყოვლისა, გარეშე მტრის წინააღმდეგ იარაღდებოდა. მაგრამ მწვავე შინაგანი ბრძოლისა და შშრომელი ხალხის რევოლუციური აქტივობის ზრდის პირობებში საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზია, მმართველი და სამხედრო წრეები შიშობდნენ, რომ ომის გაგრძელებისა და მშრომელი მასების მონმარტრისა და ბელვილის მაღლობებზე განლაგებული მშრომელთა სახსრებით შეძენილი ზარბაზნები და შეიპყრო ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი. მაგრამ ეროვნული გვარდიის პროლეტარულმა ნაწილებმა პარიზის მშრომელებთან ერთად ჩამალეს ეს განზრახვა. პარიზის მშრომელებმა ქალაქი ხელთ იგდეს. ტიერის მთავრობა, მისი მომხრე სამხედრო პირები და მოხელეები ქალაქიდან გაიქცნენ. რატუშის თავზე წითელი დრომა აფრიალდა. ასე დაიწყო მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუცია.

ამ მომენტისათვის ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც მშრომელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი იყო. სწორედ მან ითავა პარიზის რევოლუციური მთავრობის მოვალეობა. ეს ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როდესაც რევოლუციურ მთავრობაში არ იყო გაბატონებული კლასის არც ერთი წარმომადგენელი და იგი მხოლოდ „უცნობი ადამიანებისაგან“ შედგებოდა. ახალმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ, რომელსაც მოვლენათა მსვლელობის მოულოდნელობის გამო არ გააჩნდა მოქმედების ნათელი პროგრამა, დასაწყისშივე დაუშვა რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა.

რაში გამოიხატებოდა ეს შეცდომები?

მან არ ისარგებლა ხელსაყრელი სიტუაციით, არ განამტკიცა თავისი სამხედრო ძალა, პარიზის კონტრრევოლუციას საშუალება მისცა თავისუფლად გასულიყო ქალაქიდან, მაშინვე არ გაიოლაშქრა ვერსალზე, სადაც თავი მოიყარეს კონტრრევოლუციის ძალებმა. „თუ ისინი დამარცხდებიან, — წერდა კ. მარქსი ლ. კუგელმანს 1871 წლის 12 აპრილის წერილში, — ამაში დამნაშავე სხვა არა იქნება რა, თუ არა მათი „დიდსულოვნება“ და „დიდგულოვნება“.. საჭირო იყო დაუყოვნებლივ ვერსალზე გალაშქრება, სინდისიანობის გამო მომენტი ხელიდან გაუშვეს. არ უნდოდათ სამოქალაქო ომის დაწყება, თითქოს მახინჯმა გადაგვარებულმა ტიერმა თვით არ დაიწყო სამოქალაქო ომი, როდესაც პარიზს განიარაღება დაუპირა“.

რევოლუციური მთავრობის ერთ-ერთ მთავარ შეცდომას წარმოადგენდა თავდაცვითი ტაქტიკა, რომელსაც მან თავიდანვე მიმართა. ასეთივე მიუტევებელი შეცდომა იყო ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტის მიერ საკუთარ რევოლუციურ ხელისუფლებაზე ნაადრევად ხელის აღება და კომუნის არჩევნების ჩატარება, რათა მთელი ძალაუფლება გადასცემოდა მას როგორც „კანონიერ“ სახალხო ორგანოს.

26 მარტს პარიზის დროებითმა ციის ძალებმა. „თუ ისინი დამარცხდებიან, — წერდა კ. მარქსი ლ. კუგელმანს 1871 წლის 12 აპრილის წერილში, — ამაში დამნაშავე სხვა არა იქნება რა, თუ არა მათი „დიდსულოვნება“ და „დიდგულოვნება“.. საჭირო იყო დაუყოვნებლივ ვერსალზე გალაშქრება, სინდისიანობის გამო მომენტი ხელიდან გაუშვეს. არ უნდოდათ სამოქალაქო ომის დაწყება, თითქოს მახინჯმა გადაგვარებულმა ტიერმა თვით არ დაიწყო სამოქალაქო ომი, როდესაც პარიზს განიარაღება დაუპირა“.

დიადი მაგალითი

პარიზის შემდეგ კომუნები შეიქმნა ლიონსა და მარსელში, მაგრამ მათ მხოლოდ რამდენიმე დღე იარსებეს.

სურათზე: კომუნის პლაკატი (მხატვარი მოლოკი) „ლიონის კომუნა ხელს უწვდის პარიზის კომუნას“.

(კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმის ფონდიდან).

72 დღე

კალენდარის ენით

18 მარტი. აჯანყება პარიზში. ეროვნული გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაიკავა პარიზი. ტიერის მთავრობა თავს აფარებს ვერსალს.

19 მარტი. ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი აქვეყნებს პირველ მოწოდებას და მოსახლეობას მოუწოდებს მონაწილეობა მიიღოს კომუნალურ არჩევნებში.

20 მარტი. გამოქვეყნდა ეროვნული გვარდიის რესპუბლიკური ფედერაციის წესდება.

21 მარტი. პარიზის მერები და 35 ბურჟუაზიული გაზეთი მოსახლეობას მოუწოდებენ არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

22 მარტი. ვანდომის მოედანზე გაფანტეს კონტრრევოლუციური მანიფესტაცია.

23 მარტი. პარიზის მერები ეროვნული გვარდიის მოსყიდვის მიზნით ჯამაგირის მიცემას აღუთქვამენ ეროვნულ გვარდიელებს, რომელთა უბნები ცენტრალურ კომიტეტს ემორჩილებიან.

24 მარტი. ცენტრალური კომიტეტი ადგენს მისცეს გაქირავებულ მოსახლეობას დახმარების სახით ერთი მილიონი ფრანკი.

25 მარტი. მერები და ცენტრალური კომიტეტი შეთანხმდნენ, რომ არჩევნები დაინიშნოს 26 მარტს.

26 მარტი. კომუნის არჩევნები. არჩეულ იქნა 86 კაცი.

27 მარტი. ვერსალში ეროვნული კრება უკანონოდ აცხადებს კომუნის არჩევნებს.

28 მარტი. ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი ძალაუფლება გადასცა კომუნას. გაიმართა კომუნის პირველი სხდომა.

29 მარტი. გამოიცა დეკრეტები: ჯარში გაწვევის წესის გაუქმების შესახებ, ათი სამინისტროს შექმნის შესახებ.

30 მარტი. დამტკიცდა უნგრელი ფრანკელის არჩევა კომუნაში, რადგან „კომუნის დროშა არის მსოფლიო რესპუბლიკის დროშა“.

31 მარტი. ფოსტაში დილეგატად დაინიშნა მუშა ტეისი. მან 48 საათში მოაგვარა ფოსტის მუშაობა.

1 აპრილი. გადადგა კომუნის 16 წევრი — ტიერის მომხრეები. დამატებითი არჩევნები დაინიშნა 5 აპრილისათვის.

2 აპრილი. დაიწყო სამხედრო მოქმედება პარიზსა და ვერსალს შორის. კომუნამ დაადგინა იშვილოს იმ მოქალაქეთა ბავშვები, რომლებიც დაიხოცნენ კომუნისათვის ბრძოლაში.

3 აპრილი. ეროვნული გვარდიის ვერსალელების წინააღმდეგ შეტევაში მარცხდება. ფლურანსი და დიუვალი ტყვედ ვარდებიან. ფლურანსის დახვრეტა.

4 აპრილი. კომუნის პროკლამაცია პარიზელებისადმი ვერსალების „ბარბაროსობის“ შესახებ. ვერსალელებმა დახვრიტეს დიუვალი.

5 აპრილი. დეკრეტი მძევლთა შესახებ: „ყოველი ტყვის ან პარიზის კომუნის მომხრის სიკვდილი დასჯა გამოიწვევს მძევლთა სამმაგი რიცხვის სიკვდილით დასჯას“.

6 აპრილი. კომუნის მიმართვა დეპარტამენტებისადმი, რომ „პარიზს სწყურია მხოლოდ საკუთარი ავტონომია და სავსებით სცემს პატივს სხვა კომუნათა უფლებებს“.

7 აპრილი. კომუნის დეკრეტი 19-40 წლის მოქალაქეთა სავალდებულო სამსახურის შესახებ.

8 აპრილი. დეკრეტი პენსიების მიცემის შესახებ იმათთვის, ვინც დაიჭრა კომუნის დაცვისას.

9 აპრილი. დადგენილება ფლურანსისათვის ძეგლის დასადგმელად შემოწირულებათა შეგროვების შესახებ; ვერსალელებმა ყუმბარები დაუშინეს პარიზს.

10 აპრილი. დეკრეტი პენსიების მიცემის შესახებ იმ მოქალაქეთა ოჯახებისათვის, რომელთა წევრები დაიღუპნენ ხალხის უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში.

11 აპრილი. დეკრეტი ეროვნულ გვარდიაში დისციპლინის ამაღლების მიზნით სამხედრო სასამართლოებისა და დისციპლინარული საბჭოების მოწყობის შესახებ.

12 აპრილი. დეკრეტი ვანდომის სვეტის — „როგორც ბარბაროსობის... სიმბოლოს ძეგლის“ დანგრევის შესახებ.

13 აპრილი. კომუნის დადგენილება ფქვილით და ხორბლით ვაჭრობის, ამ საქონლის შესანახად შენობების უფასოდ გაცემის შესახებ.

14 აპრილი. კომუნის დადგენილება, რომ ყოველი დაპატიმრების შესახებ უნდა ეცნობოს იუსტიციის სამინისტროს დელეგატს.

15 აპრილი. სამხედრო სამინისტროს დადგენილება, რომ ლეგიონთა საბჭოები მონაწილეობენ დამატებით არჩევნებში.

16 აპრილი. კომუნის დამატებითი არჩევნები; სამხედრო ტრიბუნალის შექმნა.

17 აპრილი. სამხედრო ტრიბუნის პირველი სხდომა; დეკრეტი მათხოვრობის აკრძალვის შესახებ.

18 აპრილი. ოთხი რეაქციული გაზეთის დახურვა; ვერსალელებმა იერიში მიიტანეს ანიერზე.

19 აპრილი. კომუნის დეკლარაცია: „მომდინარე რევოლუციის ხასიათის, მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ“.

20 აპრილი. საცხობებში ღამით შრომის აკრძალვა.

21 აპრილი. ცვლილებები აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში; ვერსალელებმა სცადეს გადასვლა სენაზე (კლიბისთან).

22 აპრილი. პოლიტიკურ საქმეებზე „საბრალდებლო ციხის“ მოწყობა.

23 აპრილი. დეკრეტი სასამართლოს ბოქაულებისა და ნოტარიუსებისათვის „მუნიციპალური მოხელეების“ სახელწოდების მიკუთვნების შესახებ.

24 აპრილი. კომუნის დადგენილება მოხელეთა საბოტაჟთან ბრძოლის შესახებ.

25 აპრილი. ტიერის ბრძანება პარიზისათვის გადაგზავნილი ყველა სასურსათო ტვირთის დაკავების შესახებ.

26 აპრილი. დეკრეტი იარაღის რეკვიზიციისათვის და დეზერტირობასთან საბრძოლველად სამხედრო ბიუროების მოწყობის შესახებ.

27 აპრილი. დეკრეტი ჯარიმებისა და ხელფასიდან გამოქვითვის აკრძალვის შესახებ.

28 აპრილი. განცხადება რომ დეკრეტი საცხობებში ღამით მუშაობის აკრძალვის შესახებ ძალაში შევა სამი მაისიდან.

29 აპრილი. ფრანკ-მასონების მანიფესტაციამ თავის დროშები აღმართა ბარიკადებზე.

30 აპრილი. ბრძანება სამხედრო დელეგატ კაუზერეს დაპატიმრების შესახებ, რომლის „დაუდევრობამ გამოიწვია ფორტ ისის დაკარგვა.

1 მაისი. კომუნის დადგენილება „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის“ შექმნის შესახებ.

2 მაისი. როსელი უკრძალავს მეთაურთა შემადგენლობას კაფეშრის დაქირას მტერთან და ისეთი ანგარიშების გამოქვეყნებას, რომელთაც შეუძლიათ გამოარკვიონ კომუნის სამხედრო რესურსები.

3 მაისი. ლეგრის სამხედრო სახელოსნების მუშებმა კომუნაში წარადგინეს წესდება მუშათა კონტროლის შესახებ.

4 მაისი. დადგენილება პოლიტიკური და პროფესიული ფიცის მიცემის გაუქმების შესახებ.

5 მაისი. შვიდი რეაქციული გაზეთის დახურვა.

6 მაისი. დეკრეტი ლომბარდიდან იმ ნივთების უსასყიდლოდ დაბრუნების შესახებ, რომელთა ვირავნობის ფასი 20 ფრანკს არ აღემატებოდა.

7 მაისი. ბისმარკის ულტიმატუმი ტიერს, რომ ლუარის ველმა გაიყვანოს ვერსალის არმია, რათა პრუსიის ჯარებს პარიზის წინააღმდეგ მოქმედების საშუალება მიეცეთ.

8 მაისი. ფორტ ისის საბოლოო დაცემა; კომუნის დადგენილება პურის ნიხრის შესახებ.

9 მაისი. კომუნის დადგენილება „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის“ გადარჩევის შესახებ.

10 მაისი. მეთერთმეტე ოლქის დელეგაციის დადგენილება პროსტიტუციასთან ბრძოლის შესახებ.

11 მაისი. დეკრეტი ტიერის ქონების კონფისკაციისა და მისი სახლის დანგრევის შესახებ.

12 მაისი. კომუნის ბრძანება სკოლებიდან სარწმუნოებასთან დაკავშირებული საგნების გატანის შესახებ.

13 მაისი. დეკრეტი შრომის ხელფასის სავალდებულო მინიმუმის შესახებ.

14 მაისი. დღის ორ საათზე ვერსალელებმა დაიკავეს ფორტი ვანფი; შედგენილ იქნა ქალთა პირველი ასეული.

15 მაისი. დეკრეტი, რომ ყოველმა მოქალაქემ უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა, ამ დეკრეტის მიზანია ტიერის ფარული აგენტების აღმოჩენა; კომუნის მოწოდება საფრანგეთის დიდი ქალაქებისადმი — დაეხმარონ პარიზს.

16 მაისი. ვანდომის სვეტის დანგრევა; გაზეთებში კომუნის ორი წევრის განცხადება კომუნიდან გასვლის შესახებ.

17 მაისი. კომუნა მოითხოვს მძევლების შესახებ დეკრეტის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

18 მაისი. კომუნის უკანასკნელი განკარგულება სამოქალაქო სკოლის შესახებ; ათი რეაქციული გაზეთის დახურვა და ახლების გამოცემის აკრძალვა ომის დასრულებამდე.

19 მაისი. კომუნის დეკრეტი მექრთამეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

20 მაისი. ინტერნაციონალის პარიზის სექციების ფედერალურმა საბჭომ მოიწონა კომუნის უმცირესობის პოზიცია.

21 მაისი. საღამოს 7 საათზე წაიქციის სენ-კლუს ალაყაფის კარი და ვერსალელები შეიჭრნენ პარიზში.

22 მაისი. „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი“ მოქალაქეებს მოუწოდებს ბარიკადებზე ბრძოლისაკენ.

23 მაისი. სასტიკი ბრძოლები ქუჩებში; ვერსალელებმა დაიკავეს მონმარტრი.

24 მაისი. ვერსალელებმა დახვრიტეს კომუნის პროკურორი რაულ რიგო; დომბროვსკის გმირული სიკვდილი; ვერსალელთა მხეცობის პასუხად კომუნა ხვრეტს რვა მძევალს; კომუნა ტოვებს ქალაქის თვითმმართველობის შენობას.

25 მაისი. კომუნამ გამოუშვა უკანასკნელი პროკლამაცია; დელეკლიუზის სიკვდილი ბარიკადებზე.

26 მაისი. ვერსალელებმა დაიკავეს სენ-ანტუანის უბანი და შანელი.

27 მაისი. ბრძოლები შომონის მაღლობებზე; ვერსალელები იკავებენ პერ-ლაშეზის სასაფლაოს, სადაც კომუნარებს ხვრეტდნენ კედელთან.

28 მაისი. დაიცა უკანასკნელი ბარიკადა შამპონის ქუჩაზე. ვერსალელები გაუსამართლებლად ხვრეტენ კომუნის წევრს ვარლენს; მარშალ მაკმაგონის პროკლამაცია ვერსალელების მიერ პარიზის დაკავების შესახებ.

პატივი და დიდება თქვენ, პირველი ქამის მოწამენო!

დელეკლიუზი, ვარლენი, დიუვალი, ფლურანსი, ვერმორელი...

ქუდი მოიხადეთ — კომუნისათვის წამებულებზე გელაპარაკებით.

რამდენი იყვნენ ისინი? მათი დათვლა არავის ძალუძს. ამაზე თქვენ შეეკითხეთ პარიზის ქვაფენილს, ლაბოს ყაზარმების ყუმბარებს, ლუქსემბურგის ბაღს, შამონის სიმაღლეებს „შატლეს“, პერლაშეზის სამარეების გასისხლიანებულ ფილაქნებს, სასაფლაოებად გადაქცეულ მწვანე ბაღებს, სადაც ახლად მიწამოყრილი საფლავებიდან ღამღამობით მომაკვდავთა ხრიალი ისმოდა...

ჭეშმარიტად ნადიმი იყო ეს საფრანგეთის ბურჟუაზისა. ტიერი — ეს ხაზინაჩარი ქონდრის კაცი, თითქოს გაემაწვილდა, რაკი ამ ხალხის სისხლით სავსე ვანაში იბანავა...

მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც ბურჟუაზია ხოცავდა ისეთი გამხეცებით, რომლის მსგავსი დღემდე ჯერ არ მომხდარა? მხოლოდ რამდენიმე სახელი მოჩანს ამ სისხლის ტალღების ზედაპირზე... ჩაუკვირდით ამ ხალხს, რადგან მათი მეოხებით შეიძლება ვემსჯელოთ იმ დანარჩენ აუარებელ უსახელო ხალხზე, რომელიც ისტორიის შეკითხვაზე უპასუხებს: — ჩემი სახელია ხალხი! აი პირველ ყოვლისა:

დელეკლიუზი. მოხუცი გათეთრებული თავით, გამხდარი, ენერგიული სახით და ამაყი გამომეტყველებით: მაგალითი პატიოსნებისა და უანგაროებისა... რომ უკეთესი სამსახური გაეწია რევოლუციისათვის, მან უარყო ოჯახური ცხოვრება, ცოლი არ შეერთო და ცხოვრობდა და მოკვდა უშიშრად და უებროდ. მაგრამ განსაკუთრებით მშვენიერი იყო მისი ბოლო: დელეკლიუზი თავის საკუთარ რწმენაზე მაღლა აყენებდა რევოლუციას. ამ რკინის ადამიანში არ იყო ოიტისოდენი დოკტრინერობა. მან ნათლად შეიგნო კომუნის პროგრამა. დელეკლიუზმა ქედი მოიხარა კომუნისა და ხალხის წინაშე.

ვარლენი. ის იყო შვილი ხალხისა და საკუთარი ფიქრების ადამიანი. ის დაიბადა 1839 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში... ვარლენი ახალი დროის რევოლუციის განსახიერებაა. ის მებრძოლ სოციალიზმს ეკუთვნის... იგი შეიქმნა ერთი უპირველესი წევრი და საუკეთესო მოღვაწე ინტერნაციონალისა საფრანგეთში. ვარლენის როლი კომუნაში ყველასათვის ცნობილია. ის იქ ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს აკეთებდა... კომუნის დამმარცხებლებმა იგი ტყვედ წაიყვანეს. უკან ხელებგაკრულს, ტალახით, ფუთრთხით და სისხლით შელეხილს მას ორ საათზე მეტს დაატარებდნენ მონმარტრის ქუჩაზე, გარს ეხვეოდა ხულმდაბალი ბრბო, რომელიც მას ხხეცურად სცემდა... ის დინჯად ავლებდა თვალს თავის ჯალათებს, ბოლოს, როგორც იქნა ტყვიებმა შეწყვიტეს მისი ტანჯვა-წამება.

დიუვალი და ფლურანსი. ერთი მათგანი ვარლენივით უბრალო მუშა იყო, მეორე — მაღალნიჭიერებანი ნახწავლის, აკადემიკოს ფლურანსის შვილი... ისინი ორივენი ახალგაზრდები იყვნენ, ორივენი, როგორც დელეკლიუზი და ვარლენი, კომუნის მოთავეები იყვნენ. გუსტავ ფლურანსი ალყის შემორტყმის დროს კომუნის ბატალიონის მეთაური იყო. ოთხ აპრილს ის უცაბედად დაატყვევა უანდარმთა რაზმმა. ერთმა კაპიტანმა ხმლის ერთი დარტყმით გაუპო თავის ქალა. მისი გვამი ჩააგდეს კუბოში და ვერსალში გაგზავნეს...

დიუვალი — ეს იყო ინტერნაციონალისტი უბრალო მუშა-ჩამოსხმელი. კომუნაში მყისვე მიიქცია უურადღება თავისი ენერგიით, დინჯი მხნეობით და ვაჟკაცობით. ის მხოლოდ იმიტომ მოევლინა კაცობრიობას, რომ ებრძოლა და მომკვდარიყო. ის თავისი რაზმით დაატყვევეს შატლონის მაღლობზე ენით გამოუთქმელი თავდაცვის შემდეგ... დიუვალი და მისი ორი ამხანაგი მივიდნენ კედელთან, გაიხადეს ფარაჯები და „გაუმარჯოს კომუნასს“ ძახილით დაეცნენ ტყვიით განგმირულნი. ისინი იყვნენ კომუნის პირველი მოწამენი.

ვერმორელი. ისიც ახალგაზრდა კაცი იყო. დაიბადა 1841 წელს. სახელი მან გაითქვა პუბლიცისტიკით... გაზეთ „საფრანგეთის კურიერის“ დაარსებით მან ერთმა პირველთაგანმა აღმართა სოციალიზმის დროშა იმპერიის დროს. ჭილდოდ მას ციხისწყობა ხვდა. როცა ის კომუნაში აირჩიეს, იმ დროს იქ არ იმყოფებოდა, მაგრამ იგი პირველივე მიწვევაზე გამოცხადდა თავის ადგილას. იგი ჩქარა შეიქმნა ერთი უმთავრესი ორატორთაგანი და გამოიჩინა დაუღალავი მოქმედება... კომუნისათვის ბრძოლაში; ბოლოს იგი ვარდება მიწაზე ტყვიით განგმირული. რაოდენი ტანჯვა-წამება უნდა ყოფილიყო ასეთ პირობებში სულის ამოხდენა თავისიანებს მოშორებულისათვის სწორედ იმ დროს, როცა მთელი ქვეყნის პირველი ქალაქი და ისტორიაში უკეთილშობილესი საქმე იდუპებოდა...

ისინი იყვნენ პირველნი და ყველაზე ბედნიერნიც, მოკვდნენ გამარჯვების იმედით. ეს ხომ პირველი ბრძოლა იყო. უკან მათ მრისხანე და ძლიერი პარიზი ეგულებოდათ.

მშვიდობით ახლანთ, მეგობრებო, რადგანაც თქვენ არ შემცდარხართ! მოვა დრო და სხვები აღსდგებიან, რომ განაგრძონ ის საქმე, რომელსაც თქვენ თქვენი სიყმაწვილე და სიცოცხლე შესწირეთ! მოვა დღე, როცა განთავისუფლებული ხალხი ხმამაღალი გიახსენებს თქვენს სახელებს, რომელთა წარმოთქმა ახლა ჩუმადაც არ ძალუძს, მაშინ იგი თავისი ძლიერი ხმით შესძახებს: — **პატივი და დიდება თქვენ, პირველი ქამის მოწამენო!**

კომუნის წევრის პ. არნუსის ნარკვევიდან „კომუნისათვის დახოცილები“, რომელიც ჟურნალ „მეგზაურში“ დაიბეჭდა გაგრძელებებით 1905 წელს.

„დროება“ წერდა...

ქართული გაზეთი „დროება“ (1865-1885), რომელიც საგანმანათლებლო და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის იდეებს ქადაგებდა, ფართოდ გამოეხმაურა პარიზის კომუნის ამბებს. იგი ნომრიდან ნომერში აძლევდა წერილების სერიას პარიზის კომუნის შესახებ.

ქვემოთ მოგვყავს „დროების“ სტრიქონები, რაც საუკუნის წინათ იწერებოდა.

☐ **ხუთასზე** მეტი ბარიკადი გაუმართავთ პარიზის ქუჩებში აჯანყებულებს. ბარიკადები ისე ფართეა, რომ ზედ ზარბაზნებს აწყობენ; წინ თხრილებია გაყვანილი და წამლით გატენილი მინები.

„დროება“, № 18, 1871 წ.

☐ საფრანგეთში მერრე ისეთი კაცი არ მოინახება, რომელიც ტიერსავით სძულდეთ პარიზელებს. ყველაფერს ცუდს ტიერს აბრალებენ. საზოგადოდ ტიერს არავითარი გზით აღარ შეუძლია პარიზელების გული მოიგოს.

„დროება“, №20, 1871 წ.

☐ გაზეთებში წერენ, რომ ამჟამად არც ერთი კომუნის წევრი არ გადარჩენილა დაუხვრეტელი. ფელიქს პიას გარდა ყველა დაუხვრეტია ტიერის მმართველობას.

„დროება“, № 23, 1871 წ.

☐ **საფრანგეთის** ოფიციალური გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ კომუნაში მონაწილეობა მიუღიათ 300 პოლონელს, 250 იტალიელს, 50 რუსს, 50 უნგრელს და 200 გერმანელს.

„დროება“, № 27, 1871 წ.

☐ **ვერსალში** და პარიზის ციხეებში მმართველობას კომუნის მომხრეთაგან 32.000-ზე მეტი კაცი ჰყავს დამწყვდეული და არ იცის რა უყოს.

„დროება“, № 29, 1871 წ.

☐ ვერსალის სამხედრო სასამართლოში ამას წინათ 17 ისეთი ბავშვის საქმეს არჩევდნენ, რომელთაც პარიზის კომუნაში მიუღიათ მონაწილეობა. ამ ბავშვებში ერთი იყო 16 წლისა, დანარჩენები კი სულ 11-12 წლისანები იყვნენ. პარიზის არეულობის დროს ამისთანა ბავშვებისაგან მთელი როტები შეუდგენიათ, მიუცია თოფები და ბარიკადებზე დაუყენებიათ...

„დროება“, № 39, 1871 წ.



ოქრო აჭარის ლაქვარდში

გვეტყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი მ. გორგილაძე

მზადდება მხოლოდ ბათუმში □ ინსტიტუტის ლიტერატურულ წრეში □ მსოფლიოს მრავალ ქვეყანას □ 1974 წლის ანგარიშში □ სიცოცხლის ელექსირი

● **საბჭოთა** ხელისუფლების წლებში ბათუმი დიდად განვითარებული მრეწველობის ქალაქი გახდა. მსოფლიოში ერთადერთია კოფეინის ქარხანა, რომელიც კოფეინს ნატურალური ჩაისაგან აწარმოებს. ასევე ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკა, რომელიც ბამბუკისაგან მრავალნაირ ავეჯს, ინვენტარსა და სუვენირებს ამზადებს.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზოგიერთი საქონელი და სამრეწველო პროდუქცია მხოლოდ ბათუმში მზადდება. ეს არის, მაგალითად, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პროდუქცია, რომლის ძირითადი ნაწილი საექსპორტო დანიშნულებისაა; ელექტრომექანიკური ქარხანა უშვებს რამდენიმე სახის ელექტროკარს, რომლებიც მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში იგზავნება.

● **კარგი** თაოსნობა გამოიჩინა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ (ხელმძღვანელი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. მესხიძე). საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად აქ მოაწყეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ლიტერატურული კვირეული. კვირეულში მონაწილეობა მიიღეს თბილისის პუშკინის სახელობის, ქუთაისის, ცხინვალის თელავის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებმა.

დასასრულ გაიმართა ლიტერატურული საღამო.

● **ბათუმ**ი მსოფლიოშია ცნობილი ბათუმის გემთსაშენი ქარხნის პროდუქცია — „ვოლგის“ ტიპის წყალქვეშაფრთიანი კატარღა. ამ სწრაფი, კომფორტაბელური, ლამაზი კატარღის მშენებლობის პიონერები ბათუმელი გემთმშენებლები არიან. ბათუმური კატარღები გაიგზავნა მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში, წარდგენილი იყო ცამეტ საერთაშორისო ბაზრობაზე და საერთაშორისო ფიერარება ჰპოვა. ახლა ისინი სერავენ ინგლისის, არაბეთის, კუბის, იფრიკისა და სხვა ქვეყნების წყლებს.

● **ბათუმ**ის სახელმწიფო თევზჭერის ბაზამ დიდი წარმატებით დაამთავრა გასული წელი. ახლახან აქ სასიხარულო ცნობა მიიღეს. აზოვ-შავი ზღვის თევზჭერის მთავარმა სამმართველომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო ბათუმის რამდენიმე სეინერი, მათ შორის კაპიტან-ბრიგადირის გივი უკლებას № 1.151 სეინერი, რომლის ეკიპაჟი 1974 წლის ანგარიშში ეწევა რეწვას. მასვე მიეკუთვნა პირველი პრემია.

მეორე ადგილზე გამოვიდნენ და მეორე პრემიით დაჯილდოვდნენ ბათუმის ბაზის № 214, № 230, № 80 სეინერები, რომლებსაც კაპიტნები ვ. აფხაზავა, რ. წუწუნავა, ვ. სკოლოზუბოვი ხელმძღვანელობენ.

რეფრიჟერატორებს შორის ყველას აჯობა ბათუმის 122-ე რეფრიჟერატორმა, რომლის კაპიტანია გ. თორაძე, იგი პირველი პრემიით დაჯილდოეს.

● **აჭარა** სუბტროპიკული მხარეა, ჭობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონები დაფარულია ჩაის, ციტრუსების, ტუნგის პლანტაციებით. ციტრუსები აჭარიდან იგზავნება ფინეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში, ასევე დიდი მოთხოვნილებაა შავ ჩაიზე.

ჭობულეთში არის სამკურნალო მცენარეთა მეურნეობა, რომელსაც სიცოცხლის ელექსირის ფაბრიკა შეარქვეს. აქ გაშენებულია სამკურნალო მცენარეთა უნიკალური ჯიშები, რომლებიც ფარმაცევტული მრეწველობისათვის არის განკუთვნილი. აქაურ მცენარეთა ნედლეული დიდი რაოდენობით იგზავნება საექსპორტოდ.

ეძღვნება ქალებს

მმთეძვსმტე საუკუნის 90-იან წლებში ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრო, XVII საუკუნის დამდეგს კი აჭარაც მიიტაცა. დამპყრობელი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა მოსახლეობის გამაჰმადიანებას.

„მე უნდა გავთათრდე, — უთქვამს ერთ გადაგვარებულ თავადს ცოლისათვის, — შენც გათათრდი, ფაშობას ვიშოვნი, გურიის არ ამცდება და შენც გურიის დედოფლად გაგხდი.

— უწინამც დღე დამელევა. მე ვერ გავთათრდები, — მიუგო პატრიოტმა ქართველმა ქალმა“.

ეს სტრიქონები ამოღებულია მერი გოსტრიძის წიგნიდან „აჭარის ქალები — ახალი ცხოვრების მშენებლები“, რომელიც „საბჭოთა აჭარამ“ ახლახან გამოსცა.

წიგნი შედგება ორი თავისაგან — „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და აჭარის ქალთა განთავისუფლება“, „აჭარის ქალები სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში“. წიგნში საინტერესოდ არის განხილული აჭარის ქალთა თავდადებული შრომა, მათი ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო და კულტურულ მშენებლობაში, მათი როლი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ეთერ უურაშვილი,
ბნა ფირცხალაიშვილი.

მაღალტანიანი ქალები ბათუმის სანაპიროზე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდისის ფოტოქრონიკა).

გიორგი სალუქვაძე

ჩემი ქვეყანა

მომიგლია ჩემი მიწა,
ცხრაჯერ ვიყავ ცხრა მთაში
გაგანია სიცხეში და
ქარბუქიან ზამთარში.
ნაღვერდლები არ ჩამქრალა
ჩემი კერის ღადარში;
შენ, კვამლივით ლურჯო ვაზო,
ათას გრიგალს გადარჩი,
შენს ქართველურ საგალობელს
ვგალობ ხხალთის ტაძარში,
და ადგილის უკვდავ დედას
თავს ჩავუდებ კალთაში.
საწნახელო, ძველთაძველო,
ქვაში გამოკვეთილო,
მასვი შენი სადღეგრძელო,
მასპინძელო კეთილო!
ბეი, დროო ავდრიანო,
კარგი, რომ არ დაგცალდა!
ძველო ქვევრო მადლიანო,
დამარხულო ტაძართან,
შენს ძველ ღვინოს ვეწაფები,
ცეცხლისფერად შენაფერს,
დრომ ვერ გიყო ვერაფერი,
ვერც დაგაკლებს ვერაფერს!
ხხალთის ახლოს ვენახს გავხხლავ,
ვაზი აყვავილდება,
გამოისხამს ვაზი ვარსკვლავს
მტევნად დეკიდება.
მომიგლია ჩემი მიწა,
ცხრაჯერ ვიყავ ცხრა მთაში
გაგანია სიცხეში და
ქარბუქიან ავდარში.
ნაღვერდლები არ ჩამქრალა
ჩემი კერის ღადარში,
შენ, ტაძარო ხხალთისაო,
გამოგარჩევ ათასში
და ადგილის უკვდავ დედას
თავს ჩავუდებ კალთაში.

ქ. ბათუმი.

ჩვენი დღეების მგზნებარებით

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი

ეს დადგმა ქართული საბჭოთა თეატრის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედების შემაჯამებელი პასუხისმგებლობით, სიხარულით და სიამაყის გრძნობით არის განსორციელებული. ამ სპექტაკლის მაყურებელიც ხარობს, რომ ესოდენ მაღალია მხატვრული კულტურის მწვერვალი, რასაც ქართული სასცენო ხელოვნება დაეუფლა.

ქართული საბჭოთა თეატრის ერთერთი უდიდესი მონაპოვარია რეჟისორული ხელოვნების არნახული ამაღლება. ეს იმის მაუწყებელია, რომ ქართული რეჟისურა, მისი უპირველესი წარმომადგენლის დიმიტრი ალექსიძის სახით, იმ სიმაღლეზე დგას, რომ ძალუძს უძნელეს და ურთულეს დაბრკოლებათა გადალახვით განახორციელოს ქართული საბჭოთა თეატრის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი გამოცდილების შემაჯამებელი, განმაზოგადებელი და შემდგომი განვითარების ნათელი პერსპექტივის დამსახველი სპექტაკლი.

„დონ კარლოსისათვის“ დართულ შენიშვნებში შილერს მიაჩნდა, რომ მისი ეს ნაწარმოები არ შეიძლება ჩაითვალოს თეატრალურ პიესად. ბელინსკის თქმისა არ იყოს, ის „არ არის დრამა, მაგრამ პოეზიის უშრეტი წყაროა“. მართლაც, მოქმედ პირთა გრძელი მონოლოგებით, ბაჭიაურებული დიალოგებით ის უფრო საკითხავი პიესაა, ვიდრე სასცენოდ გამართული ნაწარმოები, ამ შემთხვევაში დიმიტრი ალექსიძის ერთერთი მნიშვნელოვანი რეჟისორული ნაღვაწი ის არის, რომ მან ტექსტზე დაკვირვებული და ფრთხილი მუშაობით იმას მიაღწია, რომ პიესას სცენიური ქმედითობა შესძინა, შინაგანი მოძრაობით და მიზანსწრაფვით აღჭურვა.

რეჟისორისათვის მთავარი საზრუნავი მიანდ XVIII საუკუნის დასასრულის კლასიკური ნაწარმოების გააზრება, ჩვენი თანამედროვეობისათვის „დონ კარლოსის“ თანადროულად აღიქმება იყო. მართალია, შილერის ეს ისტორიული შინაარსის ნაწარმოები გამოხატავს ფეოდალური გერმანიის დესპოტიზმის წინააღმდეგ ამხედრებული ლიტერატურული მოძრაობის „ჭარიშლის“ და შეტევის“ იდეებს, მაგრამ აქ იმდენად დახლართულად არის ასახული პირადი ენებანი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესები, რომ არის ცდუნება სპექტაკლი წარიმართოს დედინაცვლის და გერის სიყვარულის უსამო მელოდრამად, პრინცესა ებოლისა და დედოფლის უშვერი მეტოქეობის უნიათო მეშჩანურ დრამად. რეჟისორმა სპექტაკლის დედაძარღვად აქცია ბრძოლა თავისუფლებისა და კაცთმოყვარეობისათვის, ხოლო გამჭოლ მოქმედად—გმირული შემართება აღვირახსნილი დესპოტიზმის, ფერადოვანისა და მტარვალობის წინააღმდეგ. ამიტომაც არის, რომ ალექსიძისეულ დადგმაში თავისუფლებისა და კაცთმოყვარეობისათვის მებრძოლი მარკიზი პოზა არის მთელი სცენური მოქმედების საჭეთმპყრობელი გმირი.

„დონ კარლოსი“ (თარგმანი გერმანულიდან პეტანენ ბეშუკილისა) ჩვენს თეატრში საგმირო-რომანტიკული ხაზის აღმდგენი სპექტაკლია, ის ქართული საბჭოთა ხელოვნებისათვის ტრადიციულია, ამ განსაზღვრის საუკეთესო გაგებით და, თანაც ეს სპექტაკლი ნოვატორულიც არის, რამდენადაც ის, რაც მოწინავე ტრადიციამ გადმოგვეცა, ახალ მხატვრულ ხარისხშია აყვანილი.

„დონ კარლოსი“ დ. ალექსიძის დადგმით თანამედროვეობისათვის მეტრძოლი სპექტაკლია. რეჟისორი „ქარიშხლისა და შეტევის“ მოძრაობის იდეების ამსახველ დრამატურგიაში პოულობს დასაყრდენს, რათა გამოხატოს საბჭოთა და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების საბრძოლო სულისკვეთება, მისმართული ძალადობის, კაცთმოძულეობის, სოციალური უსამართლობის, ეროვნული ჩაგვრის, ფეოდალური და კლერიკალური რეაქციის დასათრგუნავად. მთელი სპექტაკლი გამსჭვალულია ბრძოლისა და ვერაგობის მსილების ვნებიანობით. ვერაგნულად თავმეკავებული, მაგრამ შინაგანად მშფოთვარე, დაუცხრომელი ემოციურობა ამ წარმოდგენას კეთილშობილებას ანიჭებს. დრამატული გამომსახველობის შთამბეჭდავი სიმკვეთრე შენელებულია ზომიერების შეუსპირისეული მცნებით: „რაც უნდა ვნება ზღვასავით გულში გიღელავდეს, ქარიშხალივით მრისხანებდეს და მორიგებივით გიტრიალებდეს, მაინც საამო ზომიერება იქონიე“.

ჩვენ ისევ რომანტიკული თეატრის სპექტაკლზე ვართ და მიმქრალ გრძნობებს საჩიჩქნად კი არა ვართ „კანფორული, არამედ ვართ ცეცხლოვანი ტემპერამენტის, გმირული სულისკვეთების, ერთგული ხასიათის თვითგამოხატვის ტაძარში და მწვავედ განვიცდით განმათავისუფლებელ, რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილი სულის მეხთატეხას, საუკუნეებში გამოტარებული ინტელექტის შემართებას შეეხარით, გრძნობის სიწრფელით და სიხალეტაკით ვიხიბლებით, კაცთმოყვარეობის, ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ნათელი შთაგონებით ვიმსჭვალებით.

ამ სპექტაკლს მონუმენტურობის, დიდებული მხატვრული ქმნილების იერს უქნნის დიდი შემოქმედებითი შემართებით და ფართო წვდომით შესრულებული სცენური გაფორმება. რეჟისორი სწორად ჩახვდა იმ ეფექტს, რასაც იძლევა ფარნაზ ლაპიაშვილის შემოქმედებითი ინდივიდუალობის, მისი ხელწერის და ტრაგედიის თვრის შეხამება. მხატვარმა მოგვცა სპექტაკლის მთლიანი და დამაჯერებელი სახიერება. ქართულ თეატრს იშვიათად უნახავს ამდენად ბრწყინვალე, ფერწერის პოეტურობით აღსავსე და მახვილგონიერი მიგნებები განათებული დეკორაციული მხატვრობა. ამიტომაც იყო, რომ ცალკეული სცენების გაფორმება იმდენად მოულოდნელი არტისტიზმით იყო აღბეჭდილი, რომ დარბაზი მას ტაშისცემით ეგებებოდა. ყოველი წვრილმანი, ყოველი დეტალი აქ მხატვრულ ხარისხშია აყვანილი, ყოველივე ჰარმონიულ მთლიანობაშია მოყვანილი. ამ ფერთა მომხიბვლელ შეთანხმოვანებაში არც ერთი პერსონაჟი არ იკარგება, პირიქით, ტანსაცმელიც და გრიმიც მოქმედი პირის დახასიათებისათვის არის ამეტყველებული. მეტიც ერთი და იგივე პერსონაჟის ტანსაცმლის სხვადასხვაობა იმ განწყობილებაზეც მიგვანიშნებს, რასაც ცხოვრების მოულოდნელი გარეულება და უეცარი ცვლილება იწვევს. საკმარისია მოვიგონოთ პრინცესა ებოლის შავ-წითელი, ყვითელი და შავი ტანსაცმელი.

მხატვრის მიერ ამ სპექტაკლში ისეთი შთაგონებით, მოკლედ მოჭრის საბამისად, შემსრულებელ მსახიობთა შთამაგონებლად და მაყურებელთა ათვისების მართლწარმართვით მიმყვანი სცენიდან სცენას. ო. თაქთაქიშვილის მუსიკა ხელმწიფის კარის განრიგების ცივ ხარ-ჯეიმურობასაც ისევე შესანიშნავად ახასიათებს, როგორც სრულად განგვაყოფს აფორიაქებული ვნებებით შეპყრობილთა ლირიკული სცენების ასათვისებლად. და აქაც პრინციპული მნიშვნელობის მოგლინასთან გვაქვს საქმე, რამდენადაც დ. ალექსიძესთან ერთად ო. თაქთაქიშვილი იცავს ქართული დრამატული თეატრის შემოქმედებით ნაღვაწში მუსიკის დიდი მნიშვნელობის შეუღეველ ტრადიციას.

თუ გავიხსენებთ, რომ ბოლო წლების ზოგიერთ სპექტაკლში მოდას აყოლილი რეჟისორი, მხატვარი და მუსიკალური გაფორმების ავტორი სცენის გაღარიბებისათვის იღვწიან, — მაყურებელს სასცენო გაფორმების სქემებით და დანადგართა აჩოჩხვინ, მუსიკალური აჯაფსანდალით, გრამჩანაწერების გახმოვანებით უმასპინძლდებიან, მსახიობიც სცენაზე უგრიმოდ, თავის ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოჭყავთ, — ასეთ ვითარებაში დ. ალექსიძის, ფ. ლაპიაშვილის და ო. თაქთაქიშვილის თანაშემოქმედებით განხორციელებულ სპექტაკლს უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ეძლევა, რამდენადაც ქართულ დრამატულ თეატრს მისი რომანტიკულ-გმირული მიმართულება, სინთეზური ბუნება, მისი დღესასწაულებრივი, ოპტიმისტური მედერი თეატრალობა უბრუნდება.

ვახტანგ გეგეჭკორმა, — შილერის ტრაგედიების ცნობილმა მთარგმნელმა, — „დონ კარლოსის“ პოეტური თარგმანის ახალი რედაქციით, მისი მარჯვე მისადაგებით თანამედროვე თეატრის პირობებსა და სასცენო გააზრებასთან დიდად შეუწყო ხელი სპექტაკლის წარმატებას.

რაც შეეხება აქტიორულ განსახიერებას, ვთქვათ სიმართლე: ორგანიზაციული მუშაობისადმი ეს ერთ-ერთ ადგილია, მეფის სასახლე, სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და ვერაგობა, რომ ძნელია ამის თქმა, თუ რა უფრო ღრმად გადმოგვცემს სპექტაკლის დედააზრს — სიტყვა თუ ფერი, ბაზი თუ მოძრაობა, სინთეზულ თუ განცდის სიწრფელე. აქ არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ ფ. ლაპიაშვილის მიერ მარჯანიშვილის სცენა სასწაულმოქმედებრივ არის „გადიდებული“, თანაც მიღწეულია ლაპიაშვილის — ინტერიერის, და ჩაცმულობის ამ ჭეშმარიტად ბრწყინვალე პოეტის—ეკიზების მაღალხატვრული სრულქმნილი რეპროდუქტირება, რაც მოწმობს ამ თეატრის სადადგმო კულტურის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებითი წვლილი „დონ კარლოსის“ წარმატებაში. სასტყვასა და ფერთან იშვიათი შეთანხმოვანებით და გამომსახველი ძალის კეთილშობილებით ისმის მუსიკა ამ დადგმაში. მოქმედებას წინ უძღვის თუ თან ერთვის, მუსიკა სპექტაკლის დედააზრის - შეერებას, ვთქვათ სიმართლე: ორგანიზაციული მუშაობისადმი ეს ერთ-ერთ ადგილია, მეფის სასახლე, სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და ვერაგობა, რომ ძნელია ამის თქმა, თუ რა უფრო ღრმად გადმოგვცემს სპექტაკლის დედააზრს — სიტყვა თუ ფერი, ბაზი თუ მოძრაობა, სინთეზულ თუ განცდის სიწრფელე. აქ არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ ფ. ლაპიაშვილის მიერ მარჯანიშვილის სცენა სასწაულმოქმედებრივ არის „გადიდებული“, თანაც მიღწეულია ლაპიაშვილის — ინტერიერის, და ჩაცმულობის ამ ჭეშმარიტად ბრწყინვალე პოეტის—ეკიზების მაღალხატვრული სრულქმნილი რეპროდუქტირება, რაც მოწმობს ამ თეატრის სადადგმო კულტურის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებითი წვლილი „დონ კარლოსის“ წარმატებაში. სასტყვასა და ფერთან იშვიათი შეთანხმოვანებით და გამომსახველი ძალის კეთილშობილებით ისმის მუსიკა ამ დადგმაში. მოქმედებას წინ უძღვის თუ თან ერთვის, მუსიკა სპექტაკლის დედააზრის - შეერებას, ვთქვათ სიმართლე: ორგანიზაციული მუშაობისადმი ეს ერთ-ერთ ადგილია, მეფის სასახლე, სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და ვერაგობა, რომ ძნელია ამის თქმა, თუ რა უფრო ღრმად გადმოგვცემს სპექტაკლის დედააზრს — სიტყვა თუ ფერი, ბაზი თუ მოძრაობა, სინთეზულ თუ განცდის სიწრფელე. აქ არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ ფ. ლაპიაშვილის მიერ მარჯანიშვილის სცენა სასწაულმოქმედებრივ არის „გადიდებული“, თანაც მიღწეულია ლაპიაშვილის — ინტერიერის, და ჩაცმულობის ამ ჭეშმარიტად ბრწყინვალე პოეტის—ეკიზების მაღალხატვრული სრულქმნილი რეპროდუქტირება, რაც მოწმობს ამ თეატრის სადადგმო კულტურის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

ვასო ბოძიაშვილი წარმოგვიდგენს მეფე-დესპოტს ფილიპე მეორეს. სცენურ განსახიერებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია მსახიობის პოზიცია. მტარვალი ხელისუფალის მამხილებელი პათოსით არის ვ. ბოძიაშვილის მიერ ეს სცენური ხმა შექმნილი. ვ. ბოძიაშვილი სრული დამაჯერებლობით გვიჩვენებს, რომ არავითარ ოქრონიმსულ სამეფო ტანსაცმელს, მხედრულ აღჭურვილობას და გარეგნის დიდებულებას არ ძალუძს დაფაროს მეფის კაცთმოძულეობა და ენითუთქმელი ავკაცობა. ვ. ბოძიაშვილის განსახიერებით ფილიპე იმდენად არის ეჭვიანობით, უნდობლობით და შიშით შეპყრობილი, რომ მუდამ აფორიაქებულს არც კი ემჩნევა, რომ ზოგჯერ, ხანმოკლედ მაინც სიკეთისაკენ იბრუნოს პირი. ვ. ბოძიაშვილი-მეფის სცენები დედოფალთან თუ შვილებთან ამაზრზენ შთაბეჭდილებას ქმნის და ამით მსახიობი ჭეშმარიტი დრამატიზმის ძალას მატებს მთელ სპექტაკლს, რამდენადაც ძირითად კონფლიქტსა და დაპირისპირებას, საერთო სცენურ გაზრებას მტკიცე საფუძველი ეძლევა.

ელენე ყიფშიძე პრინცესა ებოლის როლში სილამაზისა და ქალური კდემამდგომილების განსახიერებაა. ის გამორჩეული გარეგნულ ხატოვანებასთან ერთად ხასიათის ცოცხალი წარმოსახვითა და განდის უშუალობით. ბრწყინვალედ დაგვიხატა ე. ყიფშიძემ, თუ როგორ იწამლება, იძირება და ისპობა სამეფო სასახლის კარის კაცთმოძულეობის ატმოსფეროში ეს ულამაზესი ყვავილი.

მართლად უთქვამთ, რომ მცირე როლისაგანაც კი შეიძლება ხასიათის გამოკვეთა, თუ მსახიობს ოსტატობა წესწევს. სწორედ ამის დამაჯერებელი მაგალითია მერი დავითაშვილის ჰერცოგი ალბა, დამაჯერებლად გამობატავს კარისკაცის სულმდაბლობას, მაგრამ რამდენადმე სახე დაჩიავებულია. ის, ვისაც დესპარტი მეფის ხელისუფლება ემყარება, ის, ვინც ფლანდრიაში იგზავნება და განმათავისუფლებელ მოძრაობას უპირისპირდება, უფრო მნიშვნელოვან, უფრო ძლიერ ხასიათად უნდა იყოს გამოკვეთილი. ტ. სამპარელიძემ (დომინგო, მეფის მოძღვარი) დამაჯერებლად გვიხატავს ინტრიგების მქსელავ რეაქციონერ კლერიკალს. ასევე საინტერესოა სახე გვიხატავთხატებს დ. ქუთათელაძემ (გრაფი ლერმა). სახიერად წარმოგვიდგენს დიდ ინკვიზიტორს ბ. ტაბუკაშვილი, სეფე ქალებს ნ. მიქელაძე და მ. მახვილაძე, დედოფლის პაჟს— ლ. პიტაპა და ოფიცერს — ვ. თანდილავშვილი, დიდი მხატვრის ტილოდან გადმოსულს დაემსგავსა პატარა თეონა ქუთათელაძე მეფის ასულის როლში.

მომხიბვლელია თავისი წყობით, ფერადოვნებით და სრული გამომსახველობით მასობრივი სცენები, სცენური მოძრაობაც შნოიანი და ლაზათიანია (მ. ალხი, ნ. იოსთამაშვილი) და მეტყველებაც. სპექტაკლი ისე მწყობრად მიმდინარეობს, რომ რეჟისორის თანაშემწეს ბ. ალხოძეს ბარაქალა ეთქმის.

დასასრულ უნდა ვუსურვოთ მარჯანიშვილის თეატრს, რაკი სმა ასე მაღლა აუწია თავის შემოქმედებითს სიმფერას, დაბლა აღარ დაუშვას და ბანის მიმეცემნიც კარგი შეიძინოს.

დიმიტრი ჯანელიძე.

• • •

სურათებზე: მარცხნიდან, ვ. ბოძიაშვილი — მეფე ფილიპე II, მ. ბიბილეიშვილი — ელისაბედ დედოფალი, მ. ეგუტია — დონ კარლოსი, კ. მახარაძე — მარკიზ დე პოზა. ფოტო ა. ბაშაასიძისა.

სპორტი

სსრ კავშირის თასზე

უარაგანდის „შახტიორისა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდების 16 მარტის მატჩის შედეგია 2:0 „შახტიორის“ სასარგებლოდ.

გუშინ ლენინგრადის დინამოელებს სოჭში მატჩი ჰქონდათ ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“. წარმატება „ზარიას“ ხვდა 3:0.

ალმა-ატის „კაირატისა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქე იყო ზაპოროჟიე „მეტალურგი“. შეხვედრის შედეგი 3:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

დონეცკის „შახტიორმა“ დამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში“ 2:0.

ხელბურთელთა ასპარეზობა

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი.

თბილისის „ბურევესტნიკისათვის“ უკანასკნელ მატჩს კრასნოდარის „უნივერსიტეტის“ გუნდთან არსებით მნიშვნელობა ჰქონდა. როდესაც პირველი ტაიმი ამოიწურა, ტაბლოზე ვხედავდით ციფრებს 9:8 „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ. მოსალოდნელი იყო, რომ მეორე ნახევარში თბილისელები უფრო აქტიურად და ძალთა მობილიზებით ითამაშებდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით, მათ შეანელეს ტემპი, შეცდომას შეცდომა მოსდევდა, კარგავდნენ ბურთს, რამაც კრასნოდარელებს საშუალება მისცა ხელთ ეგდოთ ინიციატივა და გაიმარჯვეთ კიდეც 18:14.

აი დანარჩენი მატჩების შედეგები: ცსკა — ტრანსპოლის გუნდი 27:27, ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდი — „ალუმინსტროი“ 12:12, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი— „აუნცევო“ 16:15.

ლიდერობს ნ. გაფრინდაშვილი

ბელგრადი. წარმატებით გამოდის S მარტის აღსანიშნავ ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. მართალია, მან მერვე ტურში გადადო შეხვედრა უნგრელ მოჭადრაკე ბილეკთან და ახლა უკვე ორი დაუმთავრებელი პარტია აქვს, მაგრამ მაინც ლიდერობს შეჯიბრებაში. ამასთან ნონა დიდად უსწრებს უახლოეს მეტოქეებს. გაფრინდაშვილს აქვს 6 ქულა, ხოლო კ. იოვანოვიჩსა (იუგოსლავია) და ვრეკენს (ჰოლანდია), რომლებსაც ახლა მეორე ადგილი უჭირავთ, მხოლოდ 4,5 ქულა აქვთ თვითეულს. (საკდისი).

ოკლაჰომაშიც გაიმარჯვეს

ოკლაჰომა, 16 მარტი. (საკდისის სპეც. კორ.). თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეების გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე მათი მეორე მატჩი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდთან. ანგარიშია 6:4.

შეხვედრები მოიგეს: მსოფლიო ჩემპიონმა მინსკელმა ალექსანდრე მედვედმა (ძმიმე წონა), მახაჩყალელმა იური შახშურადოვმა (წონა 82 კილოგრამამდე), მოსკოველმა გენადი სტრახოვმა (წონა 90 კილოგრამამდე), აგრეთვე იაკუტიის მკვიდრმა რომან დმიტრიევმა (წონა 48 კილოგრამამდე) და მახაჩყალელმა ზაგალავ ამდულბეკოვმა (წონა 62 კილოგრამამდე).

ფრედ დაამთავრეს შეხვედრები: მსოფლიო ექს-ჩემპიონმა თბილისელმა შოთა ლომიძემ (წონა 100 კილოგრამამდე) მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორთან ლარი კრისტოფთან და მახაჩყალელმა ამინულა ნასრულაევმა (წონა 52 კილოგრამამდე) რონ ტრეშერთან.

წაგო შეხვედრები საბჭოთა ნაკრები გუნდის ორმა დებიუტანტმა: თბილისელმა რომან მარსაგიშვილმა (წონა 74 კილოგრამამდე) მსოფლიო ჩემპიონ ვეინ უელსთან, თუმცა ერთი თვის წინათ მას მოუგო თბილისის საერთაშორისო ტურნირში.

ბ. სიამაშვილი

80 წლის ასაკში გარდაცვალა ძველი ბოლშევიკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1917 წლიდან **მანანე სოლომონის-ძე სიამაშვილი.**

მ. სიამაშვილი დაიბადა 1891 წელს ოზურგეთის მაზრის (ამჟამად მახარაძის რაიონი) სოფელ ასკანაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. შრომითს საქმიანობასთან ერთად ეწეოდა აქტიურ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას, რისთვისაც 1919 წლის ოქტომბერში აპატიმრებენ. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ მშობლიურ სოფელში და განაგრძობს ბრძოლას მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მ. სიამაშვილი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მოღვაწეობს და მთელ თავის გამოცდილებასა და ენერგიას იხმარს მევენახეობისა და მეფუტკრეობის განვითარებას. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. მ. სიამაშვილი 1957 წლიდან იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, მიუხედავად ამისა, იგი მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჩვეული კეთილსინდისიერებით ასრულებდა სხვადასხვა პარტიულ დავალებას. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

გულისხმიერი ადამიანის მ. სიამაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

19 მარტი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვეული, 11.45 — „ტალონი“ — საბ. ჟურნალი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი — მუსიკალური ფილმი „ვეფხვი ინეიანი“, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — „დამკვალიერული შრომა — პარტიის ყრილობას“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „ბავშვებისათვის „შენი ცხოვრება რომ უფრო საამური იყოს“, 19.05 მხატვრული ფილმი — „პრესის ამბურგელი მეფე“, 20.50 — საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში „დინამო“ თბილისი (ცსკა (ვიდეოჩანაწერი), 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — გმირის უკვდავება (გადაცემა ეძღვნება ფორე მოსულიშვილს), 22.00 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — კონცერტი.

მეორე პროგრამით

19.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „ჩაბნელებული ფანჯრები“ მესამე სერია), 20.10 — კინონარკვეული.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 20 მარტს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 99-29-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93